


ცალკე ამონაბეჭდი

Отдельный оттиск



მიმომხილველი

МИМОМХИЛВЕЛИ

1

თ. K8852
2
შ. 2013-3115

ლიც ნაქიზეა ან. ი. იაყიძე

აქიზისაგ.

26. IV. 50.

ალ. კობახიძე

მიმინოთი ნადირობა გურიაში

I.

გურული მიმინოები მიმინოს ასხევებენ ფერისა, აღნაგობისა და ხა-
ითის მიხედვით. გურიაში ცნობილია: ჩხარტისფერი, ჩხარტისფე-
რი თეთრი, ყვითელი, ნათელყვითელი, წითელი, თვალშავის-
ფერი, კიკლაყაისფერი, ჯაჯისფერი, ჯანგისფერი და სხვა
მიმინო.

ჩხარტისფერ მიმინოს „მიწა მოტილო თეთრი ფერისა აქვს, ზედდაყრი-
ლი გალა შავი პეპლებით“ (პატარა სამკუთხა ფოთლები); ჩხარტისფერ თეთრს
იგივე ფერები ახასიათებს, მაგრამ თეთრის უპირატესობით; ყვითელ მიმინოს
„მიწა ყვითელი ფერისა აქვს, ზედ დაყრილი ფერადი წურბელებით“ (ზოლად
ჩამავალი ხაზები); ნათელყვითელს იგივე ფერი ახასიათებს, მაგრამ უფრო ღია;
წითელმიმინოს მიწა წითელი ფერისა აქვს, წურბელები ფერადი ან მუქი წითე-
ლი; ნათელწითელს მიწა შედარებით ღია ფერის აქვს; თვალშავისფერ მი-
მინოს (თვალშავი—მტატებელი; ფრინველია) მიწა ჩხარტისფერ მიმინოს მიუ-
გავს, მაგრამ ნაცვლად პეპლებისა შავი წურბელები გასდევს ზოლად; ჯაჯის-
ფერი მიმინო ჯაჯას ჩაშოგავს ფერით, იგი ღიღია და ბლაგვი. ჯანგისფერ
მიმინოს ზურგიან-გულიანად ჯანგის ფერი გადაკრავს, ზოგჯერ—მოწითალო
მიწა და შავი პეპლები (ან წურბელები) აქვს; თეთრ მიმინოს ტიალი თეთრი
ფერი ახასიათებს. ასეთი მიმინო საერთოდ იშვიათია და ძვირფასი¹.

ულამაზეს მიმინოდ თეთრია მიჩნეული. ზოგი წითელსა და ყვითელს რჩეუ-
ლობს. მჭირავობით კი პირველი ადგილი ჩხარტისფერ მიმინოს აქვს დათ-
მობილი.

„კაი მჭირავ მიმინოს“ თავი პატარა აქვს, კისერი მოგრძო, ფეხები და-
ბალი, მკერდი განიერი, ფრთები გრძელი და მაკრატელივით გადადებული.
ასეთია სწორედ ჩხარტისფერი მიმინო და ყველა ვისაც მწყერობა უფრო აინ-

¹ Г. Демѣнтьев, Охота с ловчими птицами, М., 1935, 88. 5; А. Ламберти, Описание
Колхиды, СМОИПК, 43. Т. 1913, 88. 212. იმ უძვირფასეს საჩუქართა შორის, რომლებიც
მეფეებს მისდიოდათ თეთრ კორ-შევარდენა განსაკუთრებული ადგილი ეკავა; შტ. თ. გ. ბრ-
დანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 266 (1452 წლის გუჯარი); Вл. Гордлевский, Гбс. арестов.
сельджукидов Малой Азии, М.—Л., 1941, 88. 159 და სხვ.

ტერესებს, ვიდრე მტაცებელი ფრინველის სილამაზე, ჩხარტისფერ მიმინოს ტანება.

მიმინო ხშირად ავზნიანი გამოდგება. მისი გამართვა შეუძლებელია ან, უკეთეს შემთხვევაში, მეტად ძნელი. გურულ მონადირეთა დაკვირვებით, ავზნიან მიმინოს ენა თეთრი აქვს, ხოლო თვალები შავი. კაი ზნის მიმინოს მახასიათებელია თაფლისფერი თვალები, შავი ენა¹ და თეთრი ბოლოს ქვედა ბუმბული.

მიმინოს სქესისა და ასაკის მიხედვით შემდეგი სახელწოდებებია გურიაში დამოწმებული: ერთი წლის დედალ მიმინოს ნარდი, ხოლო ამავე ასაკის მამალს—გეზელა ეწოდება²; გეზელას, მაგრამ ტანმოზრდილსა და თითქმის ნარდის-ოდენას, მთავარნაკს უწოდებენ. ორი წლის მიმინო (გამოზამთრებული და „ბურღანაყარი“), განურჩევლად სქესისა კაპოეტი³ სახელწოდებითაა ცნობილი.

გასამართავად, როგორც წესი, დედალ მიმინოს—ნარდს—ირჩევენ: გეზელასთან შედარებით დიდია, ძლიერი და შემტევი.

გურული მონადირეები გასამართავ მიმინოს ბადისა და მისატყუარი ფრინველის საშუალებით იჭერენ. მისატყუარი ფრინველი ფერადი უნდა იყოს და კარგად მფეთქავი, რომ მიმინოს ყურადღება შორიდანვე მიიპყროს. მისატყუარად ბელურაც გამოდგება და მებოლოკაე ჩიტიც. მაგრამ ბელურა, თუმცა კარგი მფეთქავია, ფერით მიმზიდველი არ არის, ხოლო მებოლოკიე; მიუხედავად მისი მიმზიდველობისა, ძნელად გასამართავია. საუკეთესო მისატყუარ ფრინველად გურიაში დაჟოა მიჩნეული; მას მკერდი თეთრი აქვს, ზურგი წითელი, ფეთქა კარგი იცის და არც გასამართავად არის ძნელი.

გასამართავად, ჩვეულებრივ, ირაო დაჟოს (ე. ი. შალა მათრენალს) იჭერენ—კარგი ფეთქა იცისო; დაჟოს, რომელიც ნაგრებში დაძვრება, ერთდებთან. დაჟო ისევე, როგორც მიმინო, წლევანდელი უნდა იყოს: გამოზამთრებული დაჟო ძნელად გასამართავია.

დაჟოს დაჭრა ელიობას იწყება (20 ივლისი ძვ. სტ.); მას იჭერენ ან შიწის სხაპით (ჩოხატაურში—ძუის სხაპი), ან სალაჟიე სხაპით (ჩოხატაურში—სირენჩქა), ან ე. წ. საყლაპავით.

მიწის სხაპის დაგება დაჟოს მიერ აჩემებულ ადგილზე იციან. მიწის სხაპი წარმოადგენს ბიის (კომის) ნედლ ტოტს, რომელიც მსხვილი ბოლოთი დატკვნილ მიწაშია ჩასმული. ბიის მოღუნულ ტოტს, რომელსაც აქ გარა ეწოდება, მეორე ბოლოზე მობმული აქვს ერთი ციდა ძაფი. ძაფზე თავისი მხრივ, დამაგრებულია რიკი და ძუის მარყუჭი. ბიის ტოტისაგან რამდენიმე მტკაველის დაცილებით, შესაბამისად იმისა თუ რა ზომისაა გარა, მიწას მოასუფ.

¹ შავი ენა საერთოდ მტაცებელი ფრინველის კარგი ზნის მაჩვენებელია, შდრ: „გარნა უნდა გაუზინჯო ენა, თუ შავი აქვს უკლეის ღარ გინდა, და თუ თეთრი ენა აქვს, ტყვილად ნუ დაშვრები წითელს ქორზედ“ (ი. ბატონიშვილი, კალმასობა, თბ. 1936, გვ. 216).

² ს. ს. ორბელიანი, ქართული ლიქსიკონი, ტფ. 1928, სიტყვასთან გეზელი-ბაზნი მაშალნი (ქორი და მისთანა მამალი).

³ იქვე, სიტყვასთან კაპოეტი—ფრინველი წელიწად-გამოვლილი.

თავებენ და ღალატს შიშობენ (ღალატის მრგვალი მოღუნული და ორივე წვერით მიწაში ჩასმული ტოტია). ამის შემდეგ გარას მოშვილდავენ და მის ბოლოზე მობმულ რიკს ღალატს ამოსდებენ, ხოლო რომ მოშვილდულმა გარამ რიკი პაერში არ აიტაცოს, მას რიკის დასაკავებლით ღალატზე დაამაგრებენ. რიკის დასაკავებელზე დასაჯდომ ჯოხს დასდებენ, რომლის ქვეშ ქინძისთავით კალია დამაგრებული და რომელზედაც ძუის მარყუჟია გადადებული. ასე აწყობილ სხაპს ცალი გვერდიდან ღობეს გაუკეთებენ—მტკაველის სიგრძე ჩხირებს ჩამოტოვებენ,—რომ ღაჟოს მხოლოდ ერთი მისავალი დარჩეს კალიასთან. კალიას (კალის) მოყვარული ღაჟო დასაჯდომ ჯოხს ვერ ასცდება, დაჯდომისას მას ძირს დასწევს, რასაც სხაპის დასხლეტა და ღაჟოს მარყუჟში გაბმა მოსდევს.


ზოგჯერ მიწის სხაპს ერთი დასაჯდომი ჯოხის ნაცვლად ოთხს უკეთებენ და ამის მიხედვით ასხევებენ ცალჯოხიანსა და ოთხჯოხიან სხაპს.

საღაჟიე სხაპი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, მხოლოდ ღაჟოს დასაკერად განკუთვნილი სხაპია. განსხევეებით მიწის სხაპისაგან მას მიწის ზედაპირიდან დაახლოვებით 1,5 მეტრის სიმაღლეზე აგებენ აგრეთვე ღაჟოს მიერ ამოჩემებულ ადგილას. სოფ. ჩიბათში დამოწმებული საღაჟიე სხაპი 1.1 მ. და 60 სმტ-ის სიმაღლისაა. იგი შედგება საღაჟიეს ტარისა და გარაძსაგან. გარა (ბიის ტოტია წვრილი და რბილი, რომ დრეკადობა დიდხანს შეინახოს და ასხლეტისას ღაჟო არ გააფუჭოს) საღაჟიეს ტარზე ჟოლის ტყავითაა დამაგრებული. საღაჟიეს ტარისა და გარას დამაგრების ადგილზე საღაჟიეს ტარი გახვრეტილია, ხოლო ბუდეში, საღაჟიეს ტარის ჰერპენდიკულარულად, სამუხლეა პადგმული (სიგრძით 50 სმტ.), რომლის ბოლო ამოღუნულია, ამობრუნებული და სამუხლეშივე დამაგრებული. საღაჟიე სხაპის ეს ნაწილი (სამუხლის ბოლო, თითქმის რგოლივით დაყენებული) მიწის სხაპის ღალატის ფუნქციას ასრულებს და ამავე სახელწოდებას ატარებს. სამუხლე საღაჟიეს ტარზე ჟოლის ტყავითაა მიმაგრებული და ტარიდან 20 სმტ-ის დაცილებით გახვრეტილია. ბუდეში ჩასმულია ე. წ. მუხლი (ან დანდალი), გადატეხილი ჯოხი, რომლის თავისუფალი ბოლო ღალატთანაა მიტანილი. საღაჟიეს ეს ნაწილი (მუხლი) მიწის სხაპის დასაჯდომი ჯოხის ფუნქციას ასრულებს. ღალატისაკენ გაღმოდუნული გარა, რომელსაც მსგავსად მიწის სხაპისა მარყუჟი და რიკი აქვს მობმული, ამ რიკისა და მუხლის თავისუფალი ბოლოს საშუალებით ღალატზე დამაგრებული ისე, რომ მუხლის შერხევა რიკის ამოსხლეტასა და საღაჟიე სხაპის დაშლას იწვევს. გარას ბოლოზე მობმული მარყუჟი მუხლზეა გადადებული და საგაგნებო ჩხირებით გშლილ მდგომარეობაშია დატოვებული. გარაზე, ზევიდან, ჩამოკიდებულია ძაფზე მობმული კალია, რომელთანაც მისვლისას ღაჟო სხაპის მუხლზე უნდა ჩამოჯდეს. ამ შემთხვევაშიც ღაჟოს სიმძიმეა სხაპის დაშლისა და სხაპის მარყუჟში ღაჟოს მოქცევის მიზეზი (სურ. № 1).

1- აღწერილი საღაჟიე სხაპი ჩვენის თხოვნით გააკეთა ს. ჩიბათის მტკაველებმა ნესტორ ჯიორგისძემ ქუთაისში, რისთვისაც მას პატივსაცემად ვუძღვნი.

სალაქიე სხაპი, მიწის სხაპთან შედარებით, ლაქოს დაჭერის უფრო ეფექტურ საშუალებად ითვლება.

ლაქოს დაჭერის ზემოაღნიშნულ საშუალებათა გარდა გურიაში ხმარებაშია აგრეთვე ე. წ. საყლაპავი. საყლაპავი გრძელ ძაფს წარმოადგენს, რომელზედაც 3—4 კალიაა ასხმული და რომლის ერთი ბოლო ჯოხზეა დამაგრებული. ზოგჯერ კალიას სხეულში პატარა ჩხირს გაუყრიან, ზედმოხმული ძაფით, რომლის თავისუფალი ბოლო ჯოხზეა დამაგრებული. ლაქოს მიერ კალიის ჩაყლაპვა ორივე შემთხვევაში ლაქოს ჯოხზე დაბმას იწვევს.



სურ. 1

როგორც აღინიშნა, ლაქოს დაჭერის ყველა შემთხვევაში (მიწის სხაპი, სალაქიე სხაპი, საყლაპავი) მისატყუარია საჭირო. გურიაში მისატყუარის ყველაზე გავრცელებული სახე კბალია (კალია). გურული მონადირეები კალიასაც საგანგებო ნიშნებით ასხევენ.

კალიის დასაჭერად საიღლეში (ისლის ადგილი) ან გაშობილაში (დიდი ხნის მოუხნავი მიწა) მიდიან და ეძებენ: გაძვერიე კბალს (მოუსვენარია და ნიადაგ დაძვრება), ჩალდაყას (ჩალდაყს უფრო ჩამოგავს), წიკატაქს („წასიქსიქებული წვერი აქვს“-ო), ძირყულაქს (სიმინდის მჭრელი მახრა), ირემას (რქები აქვს წამოზრდილი), შავ კბალს, მსუქანას და სხვ.

ლაქოს საყვარელი კალია მსუქანაა, მაგრამ გაძვერიე კბალს მეტად ეტანებიან. რადგან „შორიდან შემხედვარია უფრო“.

გასამართავად, ჩვეულებრივ, მამალ ლაქოს იჭირენ—ფერით უფრო მინდველია და უფრო მფეთქავი. თუ შონადირემ რამდენიმე ლაქო დაიჭირა, საუკეთესო მათ შორის ხელით მოჰყავს, ხოლო დანარჩენი ღილზე ჰყავს ძაფით დაბმული.

შერჩეულსა და შინ მოყვანილ ლაქოს ფეხებზე ორტოტად შეგრებილ ძაფს მიიბამენ (40—50 სმ-ის სიგრძისას), რომლის ცალწვერა ბოლოს სალაქიე ჯოხზე, შუა ადგილას, დაამაგრებენ. ძაფს ფერადს შეგრებავენ—წითელს, შავს და თეთრს—„თვალს რომ გაუხარდესო“-ო. ფეხებზე ლაქოს წითელი მაუდის ნაჭრებს დაახვევენ (ბოკელი¹), რომ ძაფმა ფეხი არ დაუწვას ლაქოს.

სალაქიე ჯოხად ხის ნედლ ტოტსა ხმარობენ (1 მეტრის სიგრძისას); მაგრამ საუკეთესო სალაქიე ჯოხად ანწლის ღეროა მიჩნეული: ხესთან შედარებით

¹ ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან ბოკელი—ქორის საფერხული ჯამლს ვარდა.

ანწლის ღერო რბილია—ლაჟო ფეხს უკეთ მოიკიდებს და არცწელს შეატეხავს ზედ.

პირველი სამი დღის განმავლობაში ლაჟო სალაჟიე ჯოხის შუაწელზეა მიბმული ისე, რომ ძაფის სიგრძე ჯოხის წვერს არ გადასცდეს, ხოლო ჯოხი აივნის სვეტზეა დამაგრებული. პირველ დღეებში ლაჟო ურთა (ველურია), წასვლასა ლაძობს და ჯოხის შუაწელზე იმიტომაა დაბმული, რომ აფრენისას ჯოხი მუდამ თვალწინ ჰქონდეს, თანდათან შეეჩვიოს მას.

იმ ადგილას, სადაც ლაჟოა დაბმული ჯოხზე, ტრიეს კუდიო (გრძელ-ღერიანი ბალახია) დამაგრებენ კალიას, ფრთებისა და ფეხებისაგან გაცლილს. თუ ლაჟო კალიას არ დაეკარა, კალიას ფეხზე მოუცაცუნებენ და იქამდე ცდილობენ, ვიდრე ლაჟო საჭმელს არ მიეტანება.

მეოთხე-მეხუთე დღეს ვიწროდ და გრძლად დაჭრილ ხორცს (ქიას რომ ჰგავდეს) ჩხირზე წამოაგებენ და ლაჟოს შეაძლევენ. ამავე დღიდან ლაჟოს საბმელს ჯოხის წვერზე გადაიტანენ და ადამიანთან ცოტად თუ ბევრად შეჩვეული ლაჟოს გამართვას შეუდგებიან. უპირველეს ყოვლისა ლაჟოს გარეთ გაწოიყვანენ, სალაჟიე ჯოხს „შემოუქანებენ“, ლაჟოს ააფრენენ და აფრენის უმაღვე ჯოხს მიაგებებენ. ამ მოძრაობას იმეორებენ იქამდე, ვიდრე ლაჟო აფრენის შემდეგ ისევ ჯოხზე შემოჯდომას არ ისწავლის.

ამის შემდეგ შეუდგებიან საკუთრივ ფეთქის სწავლებას¹. ამ მიზნით ლაჟოს ჯოხს გამოაცლიან ფეხებიდან და ჯოხზე დაჯდომის საშუალებას არ აძლევენ. ლაჟო ამ წესით თანდათანობით სწავლობს ფეთქას.

ამრიგად და ამ თანამიმდევრობით ლაჟო დაახლოებით ათ დღეში იმდენად გაიმართება, რომ შესაძლებელი ხდება მისი წაყვანა მიმინოს დასაჭერად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურიაში ხშირად იჭერენ და მართავენ ლაჟოს არა მიმინოს დასაჭერად, არამედ მხოლოდ გართობის მიზნით.

ჩიტბადობა—მიმინოს დაჭერა,—ჩვეულებრივად, ფერცვალობას (ნ ავეისტოს ძვ. სტ.) იწყება. ფერისცვალება მიმინოს დასაჭერად, ისე როგორც ელიობა ლაჟოს დასაჭერად, ძველად ბედობის დღედ იყო მიჩნეული.

მიმინო თბილი ქვეყნებისაკენ მასობრივ გადაფრენას ფერისცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იწყებს. ადრე წამოსული მგზავრი მიმინო მთებისაკენ მიიწევს და მონადირეები მას მთის სერებზე უხვდებიან. შემდეგში, მიმინოს მასობრივად წამოსვლის დროს (ირაობა), და განსაკუთრებით ირაოს ბოლოს, მიმინოს სოფელშიაც იჭერენ. ადრე მოსული მიმინო უფრო მძლავრია, ხოლო დაგვიანებით მოსული ბლაგვი.

გურიის თითქმის ყოველ კუთხეში გარკვეული საიარაო ადგილები არსებობდა. ჩოხატაურის მიდამოებში ცნობილი იყო ჯიხეთის, ჯვარცმის, ბურნათის, ჭაჭიეთის, კოხნარის, ბასიეთის, სანისლეს გო-

¹ იქვე, სიტყვასთან ფეთქა—ბაზი ჯელზე არ დადგეს; საფეთქი—ბაზო საჩუნებელი

² იქვე, სიტყვასთან ირაო—(უცხ.) დიდ-დიდნი ფრინველნი (†ჰასაკიათა B); „არჩილიანის“ (თბ. 1937 წ. ტ. II) ლექსიკონი: სანადირო ფრინველთა დაჭერის დრო.

რის, და სხვ. საირაოები, ქ. მახარაძის მიდამოებში — გორმაღალას, ლიხაურის, ჭანიშვილების და სხვ. საირაოები.

ლანჩხუთის რაიონში ზოგჯერ საირაო ადგილი ამ ადგილის მფლობელის სახელით იწოდებოდა. აქ ყველაზე ცნობილი იყო კვეტიშვილების საირაო.

ჩიტბადობამდე ორი-სამი დღით ადრე მონადირე შერჩეულსა და შეჩვეულ საირაოზე ქოხს დაიდგამდა. ქოხის დასადგმელად მონადირე დაჭირდა ხის ტოტებს (უკეთუ ამ ადგილებში საჭირო სიხშირისა და სიდიდის ბუჩქები არ აღმოჩნდებოდა) და მათგან იმდენად მჭიდრო ლობეს გააკეთებდა, რომ ახლო მოსულ მიმინოს ქოხს ამოფარებული მონადირე ვერ დაენახა.

თუ ქოხად წოდებული ეს ყვეგროს ლობე საკმაოდ მჭიდრო იყო, მონადირე ერთს ბოლოში ფანჯარას ამოუკვეთავდა, ხოლო თუ ლობე არ იყო მჭიდრო, ფოთლებიდან დაუწყებდა მიმინოს დაზვერვას.

იმის მიხედვით, თუ დღის რომელ ნაწილში აპირებდა მონადირე ჩიტბადობას, იგი ააგებდა დილის ქოხს ან საღამოს ქოხს. მათი მდებარეობა შეპირობებული იყო როგორც მიმინოს მოძრაობით, ასევე ქარის მიმართულებით.

ლანჩხუთის მიდამოებში ახალაც ცნობილია ჯვარის ქოხი, ღარდაის ქოხი, გზის ქოხი და სხვ., როგორც საუკეთესო ადგილი ამჟამადაც მოქმედი ქოხებისა.

იმ შემთხვევაში, თუ ქოხი შენდებოდა ამა თუ იმ პირის მიწა-წყალზე, ქოხი ამგების საკუთრებას წარმოადგენდა; ამ ადგილებში ქოხის აგება სხვისთვის აკრძალული იყო.

სახელმწიფო მიწაზე ქოხის დადგმა ყველას შეეძლო, და ქოხი იმ პირის საკუთრებად ითვლებოდა, ვინც დადგამდა მას. ამგვარი ქოხით სხვასაც შეეძლო სარგებლობა, უკეთუ წინასწარ გამოითხოვდა ნებართვას ქოხის პატრონისაგან.

ახალ ქოხს სხვა ქოხებისაგან ისეთ მანძილზე აგებდნენ, რომ მონადირეებს ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ.

საჩიტბადოდ გამზადებულ მონადირეს თან მიაქვს ჩიტბადე, სახამლავი, საღლიამხრე, ინთა, ნემსი, ძაფი და სხვ. ქოხთან მისული მონადირე ყვეგროს ლობეს ამოეფარება, ჩაჯდება ისე, რომ ქოხის ფანჯრიდან ღია ადგილას გადასცქეროდეს, და მიმინოს უდარაჯებს.

ჩიტბადე¹ ორი გრძელი თხილის ტოტისაგან შედგება (სიგრძით 2,5 მეტრისა), რომლებსაც ჩიტბადის ტარები ეწოდება. ჩიტბადის ტარები გამართულ მდგომარეობაში ბოლოებით ერთმანეთს ეხებიან და სწორ კუთხესა ჰქმნიან, მაგრამ დამაგრებულნი ერთმანეთზე არ არიან. ჩიტბადის ამ ორ ტარს შორის ბადეა ამოქსოვილი, უმეტეს შემთხვევაში შავი ფერის ძაფისაგან. ბადის თვლები არაა დიდი: ყოველი თვალი დაახლოვებით 16 კვ სმ-ს უდრის. იმ შემთხვევაში, თუ ბადე თეთრი ძაფითაა ამოქსოვილი, მას ანწლის, კაკლისა ან ლობიოს ფოთლის ნახარშით ღებავენ.

¹ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან მახე-ჩიტბადე.

სახამლაგი¹ რბილი მეშისაგანაა გაკეთებული; იგი ორ თასმას წარმოადგენს, რომლის ერთი ბოლო, ორ ტოტად გაშვებული, მიმინოს ფეხებზეა დამაგრებული, ხოლო მეორე ბოლო მონადირეს ხელით უჭირავს.

საღლიამხრე² აგრეთვე რბილი მეშის ზონარია. მას ჯერ ხელზე მოიზომვენ, შემდეგ მიმინოს მხარსა და ილღის მოურგებენ და სახამლაგზე დაამაგრებენ, რომ მიმინომ წელი არ დაიზიანოს.

საღლიამხრეს მხოლოდ მიმინოს უკეთებდნენ; ქორსა და შევარდენს იგი არ ესაქიროებოდა, რაც ს. ორბელიანის განმარტებიდანაც ჩანს („საფერცხე—მიმინოს სამჭარლიე“, „ჭამლი—ბაზთ პაიჭი“).

ქოხს ამოფარებული მონადირე ჩაჯდება, ჩიტბადის ერთ ტარს მიწაზე გასდებს, ხოლო მეორეს ვერტიკალურად დააყენებს ისე, რომ მარცხენა ხელით ადვილად მისწვდეს მას. იქვე, მარჯვენა მხრიდან, საღაყიე ჯოხს მოიმარჯვებს. ასეთს მდგომარეობაში ბადე დაქიმულია, ხოლო ლაყო ბადეს ამოფარებული. გზად მიმავალი მიმინო საირაოს რომ მიუახლოვდება, ირაოს დაიწყებს. მიმინოს დანახვისთანავე მონადირე მარცხენა ხელს ჩიტბადის ტარს მოჰკიდებს, ხოლო მარჯვენას საღაყიეს წაატანს და ლაყოს უფეთქებს. თეთრგულა და წითელზურგა ლაყო მალე მიიპყრობს მიმინოს ყურადღებას; მის დანახვაზე მიმინო აიკუშება და ლაყოსაკენ ელვის სისწრაფით დაეშვება; ბადესთან მისული იგი ბადესა ხვდება და მას ლაყოსაკენ გაიტანს. ამ მომენტში მონადირე განზე გააგდებს ლაყოს, რომ მიმინომ იგი არ გაათუქოს, მარცხენა ხელით სწრაფად დახურავს ბადეს და მიმინოს ბადეში ჩაახვევს.

შესაძლებელია სანადიროდ გამოსული მიმინო მონადირეს მეორე მხრიდან წამოეპაროს მოულოდნელად. ასეთ შემთხვევაში მონადირეს მართებს ელვის სისწრაფით ლაყო მარცხენა ხელში გადაიტანოს, ჩიტბადის ტარი მარჯვენათი დაიჭიროს, ან ლაყო ბადეში გააძვრინოს, ე. ი. ბადე ისევ მიმინოსა და ლაყოს შორის მოათავსოს და ისევ იმავე წესით, მაგრამ შებრუნებული შიშართულებით, მიმინო ბადეში ჩაახვიოს.

ჩიტბადობის დროს მონადირე ძალიან უფრთხილდება ლაყოს: ვარდა იმისა, რომ მიმინოზე ნადირობისას ლაყოს მონალიობაა უკვე დაძნელია ლაყოს დაჭერა და გამართვა, სირცხვილადაა მიჩნეული, რომ მიმინომ მონადირეს ლაყო გაუფუქოს.

ზოგჯერ მიმინოს დანახვაზე ლაყო შეშინდება, ძაფზე დაეკიდება სულგანაბული და აღარ ფეთქავს. ასეთ ლაყოს ჩვეულებრივ, ცალ თვალს (საკუთრივ მარჯვენას, რადგან ლაყოს პირი მონადირისაკენ აქვს მოქცეული) აუბამენ, ხოლო მეორეზე ნაჭრის საფარველს (ბიბილოს) გაუყეთებენ, რომ ლაყომ ზევით არ აიხედოს და მომავალი მიმინო არ დაინახოს (ს. ჩიბათი). ზოგ შემთხვევაში (ქ. მახარაძე) ლაყოს ორივე თვალზე, იმავე მოსაზრებით, ფისის ბიბილოს დააკრავენ.

¹ იქვე, სიტყვასთან ჭამლი—ბაზთ პაიჭი.

² იქვე, სიტყვასთან საფერცხე—მიმინოს სამჭარლიე.

ბადეში ჩახვეული მიმინოს ამოხსნას დაოსტატებული ხელი უნდა. შეშინებული მიმინო ბადის თვლებშია გახლართული; ჭვანგებით მას ბადის ძაფი აქვს ჩაბლუჯული და მისი ამოყვანისას ბადიდან ფრთხილად იქცევიან.

ამიტომ საჭიროა მონადირემ ნელა შეაპაროს ხელი ბადეში, ჯერ ფეხები უშოვოს მიმინოს, შუა თითის სახსარზე მას ნელა დააჭიროს ხელი, რომ მიმინოს ყველა თითები გააშლევინოს, ფრთები და ბოლო გაუსწოროს და გაუთავისუფლოს ბადის თვლებისგან, მოჰკიდოს ხელი მიმინოს ისე, რომ ფრთები, ბოლო და ფეხები ერთად მოხედეს და ამოიყვანოს იგი ანუ, როგორც გურული მონადირეები ამბობენ, ანოსწოროს.

ახლად ამოწურულ მიმინოს, უკეთუ იგი უშასუხებს კაი მჭირავი მიმინოს ყველა ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებს, უპირველეს ყოვლისა თვალებს აუბამენ, ე. ი. ძაფს გაუყრიან ორივე თვალის ქვედა ქუთუთოში (ჩიმჩიმში) და ძაფის ბოლოებს თავს უკან გაუნასკვავენ. ამის შემდეგ ფეხზე გაუკეთებენ სახამლავს, მხრებზე მოარგებენ სალიამხრეს და შინ წასაყვანად გაამზადებენ; ზოგჯერ კი მიმინო სახლში მოუხამლავადაც მოჰყავთ.

მიმინოს გამართვას პირველივე ღამიდან შეუდგებიან. მონადირე მარცხენა ხელის დიდსა და საჩვენებელ თითებზე მეშის საფარველს გაიკეთებს, რომელსაც ეწოდება ორთითი (ს. ჩიბათი), ან საფუხარი (ქ. მახარაძე), ან ხელის ფოხი (ლანჩხუთი), მარცხენა ხელზე დასმულ მიმინოს განათებულ ოთახში შეიყვანენ და პირველყოვლისა მკრთალ შუქზე თვალებს აუხსნიან. სახამლავისა და სალიამხრეს ბოლოები მონადირეს თანაბრად აქვს მოზიდული და მარცხენა ხელის დიდი და საჩვენებელი თითებით უჭირავს. მიმინოს გამართვისას სახამლავისა და სალიამხრეს მოზიდვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წინააღმდეგ შემოხვევაში მიმინოს ან ფეხი დაუგრძელდება (თუ სახამლავის ბოლო ტოტები თანასწორი არაა), ან ფეთქის დროს წელი დაუზიანდება (თუ სალიამხრე სახამლავთან შეწყობილი არ არის).

პირველი ღამის განმავლობაში მარცხენა ხელზე შემომჯდარ მიმინოს ყურში უგუგუნებენ, უსტვენენ, უწუნწო უქებენ¹, რომ მიმინო ადამიანის ხმას შეეჩვიოს. ამის გარდა, და რაც მთავარია, გამუდმებული და მონოტონური გუგუნის შედეგად მიმინოს ძილი ერევა და მთქნარებას იწყებს, მაგრამ მიმინოს დაძინებას არ აცლიან, ყურში ჩაბერვით აფხიზლებენ. მიმინოს მოთვინიერება უპირველეს ყოვლისა მისი დაღლის საშუალებით წარმოებს, რასაც ზემოხსენებული წესით აღწევენ; მიმინოს ხელის ხლებას საერთოდ ერიდებიან „ფაქიზია, ბურღლა აეჩიქნება და წვიმა გაუარს“-ო.

აქვე ოთახში ხალხი იმყოფება, ძალღსაც ოთახში იყოლიებენ, რომ მიმინო პირველი დღიდანვე შეეჩვიოს ადამიანსა და მის გარემოს.

პირველსავე ღამეს, მიმინოს რომ დაღლა შეეტყობა, მას ხელს უბრუნებენ (მაჯას უტრიალებენ); ამით მიმინო ფეხის შენაცვლებას და ადამიანის ხელზე ჯდომას სწავლობს. მიმინო რომ ყოველ გამოფხიზლებაზე შეირეკება და ბუმბულს გაისწორებს, მონადირე იტყვის „მიმინო მართვაში შევიდა“-ო.

¹ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან წრფუნდი—ბაგეთა ქორთ მოწოდება გინა ცხენთ ხმის დაცემა

გათენებამდე რამოდენიმე ხნით ადრე („იალონი რომ არაა არსა და კილო ბნელია“) მიმინოს ეზოში გამოიყვანენ და გათენებამდე ხელზე დამჯდარს ატარებენ, გათენებისას მიმინო უყურებს ქათმების ფრთხილს, ძაღლის სირბილს, ხალხის მიმოსვლას და ახალ გარემოს ეჩვევა.

გათენებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მიმინოს მყუდრო ადგილზე გაიყვანენ, ხალხს, საქონელსა და ფრინველს გაარიდებენ და წინა დღიდან ნაშიმშილარ მიმინოს ასაუზმებენ. საუზმედ აჭმევენ ტყავგაცილილი წიწილის მკერდს, ბარკლებს, კუჭ-ფილტვს. წიწილის ხორცი თეთრად უნდა იყოს გარეცხილი, მას არ უნდა შეჰყვეს ქონი და ძარღვი. მიმინოს პირველი დასაუზმება შემდეგი წესით წარმოებს: ხორცის ნაწილს მარჯვენა ხელის დიდი და საჩვენებელი თითებით აიღებენ და მიმინოს ნისკარტთან მიუტანენ. თუ პირველ შეთავაზებაზე მიმინომ საკმელი იუარა, ხორცის ნაწილს ფეხებთან მიუტანენ. მიმინო ერთ ხანს არა კამს ხორცს, „ძალიან პატიუბს“, შეიძლება არც შეხედოს ზედ, მაშინ ხორცს ფეხთან გაუქანებენ („ვითომ თვითონ დაიჭირა ჩიტი და ფართხალობს“-ო). ასეთი შეთავაზებისა და შეტყუების მრავალი ცდის შემდეგ მშიერი მიმინო უცბად მოტიკნის (მოწიწკნის) ხორცის ნაჭერს, გადაყლაპავს და მიმოიხედავს. შემდეგ კვლავ შეაძლევენ და შეატყუებენ ხორცს და ამგვარად ნელ-ნელა შეაჩვევენ მიმინოს ადამიანის ხელიდან კვებას.

პირველი საუზმის შემდეგ მიმინოს, რომელსაც უკვე ხიზა აქვს შებმული ქანდარაზე შეაგდებენ და ხიზით დააბამენ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მიმინოს კვლავ ხელზე დაისვამენ, შარაზე გავლენ, ჯარში გაერვიან, წისკვილში შევლენ და ა. შ.

არც მეორე ღამეს დააძინებენ მიმინოს; ზემოთ აღწერილი წესით ძილს უტეხავენ, ღლიან და იმორჩილებენ მას. მეორე დღით ეზოში გამოიყვანენ მიმინოს წინაღედსთან შედარებით მეტს შეაჭმევენ, ისევ ქანდარაზე შესვამენ, და ხიზით დააბამენ. მეორე დღიდან ძაღლს ქანდარასთან ახლო აჭმევენ და იქვე ამყოფებენ, რომ მიმინო ძაღლს შეეჩვიოს.

მიმინოს გატეხვის (კაცთან შეჩვევის) ვადა ერთი მხრით მიმინოს ზნეზეა დამოკიდებული, მეორე მხრით ბაზიერის მეცადინეობაზე საერთოდ კი 2—5 დღის ასეთი მეცადინეობის შემდეგ მიმინო ეჩვევა ადამიანს და მის გარემოს, ნორმალურად იკვებება, ღამე თურზე¹ (ან წაქცეულ სკამზე) ზის, ხოლო დღით ქანდარაზე; მისი მოთვინიერების პირველი საფეხური უკვე განვლილია და ბაზიერი მის გამართვა-წრთვნას შეუდგება.

ადამიანთან და მის გარემოსთან შეჩვევის შემდეგ მიმინოს საქნიერზე მოსვლას ასწავლიან, ე. ი. ასწავლიან ბაზიერის დაწრუწუნებაზე მის ხელზე შემოჯდომას.

იმ დღეს, როდესაც ბაზიერი შეუდგება მიმინოს წრთვნას საქნიერზე მოსვლაში, მიმინოს არაფერს არ აჭმევენ. რომ მოყამდება და მიმინოს შიმშილი შეაწუხებს, ზემოაღწერილი წესით შემზადებულ ხორცს მოაკნეტინებენ

¹ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან თური-ქორის საჯდომი.

ცოტაოდნს და შემდეგ ხელს, რომელშიაც ხორცი უქირავთ, განზე გასწევენ, დაუწრუწუნებენ, ცდილობენ, რომ მიმინო მარჯვენა ხელზე გადმოჯდეს. ამ ცდის რამდენჯერმე განმეორების შემდეგ მიმინოს მარჯვენა ხელზე გადმოსვლას შეასწავლიან, შემდეგ მანძილს მარცხენა და მარჯვენა ხელს შორის ნელ-ნელა ზრდიან და როდესაც მიმინო კარგად შეითვისებს ბაზიერის ნიშანზე მარცხენა ხელიდან მარჯვენა ხელზე გადასვლას, მიმინოს ქანდარაზე შესვამენ, ხიზის ბოლოს მარცხენა ხელში დაიჭერენ და ზემოთაღწერილი წესით შეასწავლიან მიმინოს ბაზიერის ნიშანზე ქანდარიდან მარცხენა ხელზე გადმოსვლას. ამის შემდეგ ხიზას თანდათან აგრძელებენ, მიიყვანენ მას 50—60 მეტრის სიგრძემდე. მიმინო რომ შეითვისებს ასეთი შორი მანძილიდან საქნიერზე მოსვლას, იგი სანდოა და უკვე შესაძლებელია ხიზის შეხსნა.

როგორცა ჩანს, მიმინოს გამართვის პირველ საფეხურზე, როდესაც მას ადამიანსა და მის გარემოს აჩვენებენ. მიმინოზე უძილობითა და დაღლით მოქმედებენ. გამართვის მეორე საფეხურზე, როდესაც მიმინოს საქნიერზე მოსვლას ასწავლიან, მიმინოზე მოქმედების ძირითადი საშუალება შიმშილია (შდრ. „მიმინო რომ გაძლებათ, ხელზე აღარ დადგება“-ო¹).

ბავლის გაგდება²—მიმინოს გამართვის უკანასკნელი საფეხურია. ბავლის გასაგდებად მწყერისფერ წიწილას არჩევენ. მწყერისფერ წიწილს ხიზას თავისუფალ ბოლოს მოაბამენ და ზურგს უკან დაიჭერენ, რომ იმ ნომ წიწილა არ დაინახოს. ერთი დაწრუწუნების შემდეგ წიწილას წინ გადააგდებენ და მიმინოს მიუტევენ. მიმინო დაეცემა წიწილას, ძირს დააგდებს, ჭვანგებით და ნორჩილებს და მის გაბდღენას შეუდგება. ამ დროს ბაზიერი მიმინოს მიეპარება, ფრჩხილით იკადაუხსნის წიწილას თავის ქალას და მიმინოს შეაჰმევეს წიწილის თვალსა და ტვინს, რასაც დათვალტვინება ეწოდება.

დათვალტვინების შემდეგ წიწილის ხორცს ფრთხილად და მიმინოსთვის შეუფერხებლად გარეცხილი ხორციით შეუცვლიან (სა ამით გააძლობენ მიმინოს. ბავლად გურიაში მწყერსაც ხმარობენ ხოლმე, თუ კი ამ დროს მონადირეს მწყერი აღმოუჩნდა.

იმ შემთხვევაში, თუ ბაზიერს განსაკუთრებით კარგი მიმინო გამოადგებოდა, დაჭერილ მწყერს სოფელში მოიყვანდა, მიმინოს წინ აუგდებდა და შორიდან მიუტევდა მას. ასეთი შემთხვევები ჯარში ბავლის გაგდებისა წარმოადგენდა თავისებურ გასართობ სანახაობას და მიმინოს მაღალი თვისებების ჩვენებას

მიმინოს ჩაპურება გურიაში პირველ მწყერობაზე იცოდნენ. ბავლის გაგდების შემდეგ მიმინო უკვე გამართულია და მისი სანადიროდ წაყვანა მეორე დღიდანვე შეიძლება. მაგრამ ნადირობის პირველ დღეს ხიზაშეხსნილსა და ექვანშებმულ მიმინოს მხოლოდ ერთ მწყერს დააჭერინებენ.

¹ ე. გაბრიჩიძე, ქართული ანდაზები, თბ. 1937 წ.

² ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან აბავლა-ქორთ ბავლი გაუგდო. ბავლი—გამართვისა თვის ქორის პირველ დაჭერილი ფრინველი (ახალს ქორსა და მისთანათა პირველ ფრინველი შეაპყრობინო გასამართველად).

პირველ მწყერობაზე მიმინო გაჰყავთ გვიან რადგან, დღე ცხელა. გარდა ამისა სალამოსათვის მიმინო „მოშიებულია“, და უფრო დაღლილი, მაშასადამე, უფრო თვინიერი და „მონადირესაკენ მომხედვარე“.

პირველდაჭერილი მწყერის გასუფთავებას რომ დაიწყებს მიმინო, მას, ისევე როგორც ბავლის გაგდებისას, ფრთხილად მიუახლოვდებიან, დაათვალ-ტვინებენ, შემდეგ ხაპის ფოთლით მოტანილ გარეცხილ ხორცს შეაპარებენ და ამ ხორცზე დააძლობენ.

მწყერობის მეორე დღეს მიმინოს მხოლოდ 4—5 მწყერს დააჭერინებდნენ; მის მიერ დაჭერილი ყოველი მწყერის მხოლოდ თვალ-ტვინს აკმევდნენ და ნადირობის შემდეგ გარეცხილი და ძარღვისაგან გაცლილი ხორციით გააძობდნენ იმავე ადგილზე, სადაც პირველად ჩააპურეს იგი, რათა ნადირობით გატაცებულ მიმინოს შორს წასვლის შემთხვევაში ადვილად მიეგნო ამ ადგილისათვის.

კარგს მიმინოს გურული მონადირეები დაახამთრებდნენ და უკვე კაპოეტით მეორე წელსაც ნადირობდნენ. ზამთარში გამოყვანილი მიმინო ნარდ მიმინოს ბევრად სჯობია: უფრო მომხედვარია მონადირისაკენ, გამძლეა და შემტევი. თუ ნარდი მიმინო სანადიროდ მხოლოდ ნაშუადღევს გაჰყავთ, კაპოეტით ნადირობა დილიდანვე იციან, ერიდებიან მხოლოდ სიცხეს¹.

მწყერობის დამთავრებისა და მწყერის მონალობის შემდეგ მიმინოს ეყენებს შეხსნიან და მარტამდე სახლში ჰყავთ თურზე დაბმული. მარტის შუარიცხვეში მიმინოს სანამლაფ-სალლიამხრისაგანაც გაათავისუფლებენ და ძაროში მოათავსებენ.

ძარს 5—6 მეტრის სიგრძისას წნავენ 1—1,5 მეტრის დიამეტრით. მას ჩვეულებრივად, საბჯენებზე დგამენ მიწიდან 1—1,5 მეტრის სიმაღლეზე. პირველ ხანებში ძარში მხოლოდ ერთი ქანდარაა. იმ ნაწილს, სადაც ძარში ქანდარაა გაკეთებული, გვიმრას გადაახურავენ წვიმისა და თოვლისაგან დასაცავად.

ზოგ შემთხვევაში მიმინოს ნადირობის დამთავრებისთანავე შეაგდებდნენ ძარში და მთელი ზამთრის განმავლობაში იქა ჰყავდათ; ეს უფრო მიზანშეწონილად იყო მიჩნეული, რადგან მწყერობის დამთავრების შემდეგ მიმინო თავისუფალ კვებაზე გადაჰყავთ, რის გამო იგი კვლავ ურავდება და შეიძლება თურს ფრთები შეაღწეოს.

ძარში მიმინოს წყალს შეუდგამენ, რომელშიაც ზოგნი ლურსმანს ჩაუგდებენ: „მიმინოს რკინის ჯანგი მოუხდება“-ო.

გაზაფხულის პირზე ძარის თავიდან გვიმრას გადაიღებენ და ძარში მეორე ქანდარას გააკეთებენ, რომ მიმინოს გადაფრენ-გადმოფრენის საშუალება მიეცეს. დაახლოებით ამავე დროს მიმინოს ეწყობა „ბურდლის გაყრა“, რაც ჩვეულებრივ ივლისამდე გრძელდება. თუ რაიმე მიზეზების გამო ბურდლის ყრა გვიან დაიწყო, შეიძლება იგი მარიამობის თვემდეც გაგრძელდეს. ამ ხნის გან-

¹ შდრ. „ნახალი სჯობს კაპოეტსა, რა მხემ სიცხე დააპიროს“ (სტრ. 681), ან: „კაპოეტსა მიმინოსა სჭირს—სიცხის დროს დავარდების“ (სტრ. 682), თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედ., თბ. 1939.

² ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასაბ. გამოც., სიტყვასთან ძარი—ქორის საჯდომი გოდორი.

მაგლობაში მიმინო იცვლის ბუმბულს, ფრთებს, კვანავებს, ნისკარტს; მიმინო იცვლის აგრეთვე თვალის ფერსაც რასაც გურიაში თვალის გადაბრუნება ეწოდება. ძარში ყოფნისას მიმინოს აღარ უწესებენ კვების განსაკუთრებულ რეჟიმს. მიმინოს აკმევენ იმდენს, რამდენსაც იგი შესძლებს. მიმინოს აკმევენ ყოველგვარ ხორცს, მსუქანსაც და მკლესაც, არ ერიდებიან ღორის ხორცს, ზღარბს და სხვ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბურღლას გაყრა გვიან დაიწყო, მიმინოს მომეტებულად აკმევენ ღორისა და ზღარბის ხორცსა და თევზს. მაგრამ თუ არც ამან უშველა, საკმელად აძლევენ ყვავისა და თაგვის ხორცს. გურული მონადირეების აზრით, ეს აჩქარებს ბურღლას გაყრას. მხოლოდ ნისკარტის გამოცვლის დრო რომ მოუვა მიმინოს, რბილსა და დაკეპილ ხორცს აკმევენ, უფრო ხილდებიან ნისკარტი არ დაიზიანოს.

მარიაშობის ექვსში მიმინო ძარიდან გამოჰყავთ, ხოლო გამოყვანამდე ერთი კვირით ადრე კუქს უწმენდენ და კვების მკაცრ რეჟიმზე გადაჰყავთ მიმინოს გამოყვანის წინა დღით, არაფერს არ აკმევენ და ამომშლილებენ, რადგან ძარიდან გამოყვანილ მიმინოს ხელახლა გამართვა ესაჭიროება იმავე წესით, რა წესითაც ნარდ მიმინოს მართავენ ხოლმე; კაპოეტს თვალის აბმა არ უნდა მხოლოდ.

კაპოეტი უფრო ძნელი გასამართავია, ვიდრე ნარდი, მაგრამ გამართულს მწყერი აღარ წაუვა: მან ნარდზე უკეთესი დამუხლვა იცის; კაპოეტით ხშირად ტყის ქათამზედაც ნადირობენ,

კაპოეტად ჩვეულებრივ ნათელწითელი, შავი და თეთრი მიმინო გამოჰყავთ, დანარჩენი მიმინოები სუსტებია და ზამთარს ძარში ვერ უძლებენ.

ერთი მიმინოთი 5—6 წლის განმავლობაში ნადირობენ. მესამე მეოთხე წლიდან მიმინოს სმენა აკლდება მხოლოდ. ნადირობისათვის უფარვის მიმინოს თავისუფლად უშვებენ, თუმცა მისი მოკვლაა საჭირო, რადგან სოფელს შიგნულში მიმინო შორს არ მიდის და შინაურ ფრანველს ანადგურებს; მიუხედავად ამისა, მიმინოს პატრონი მას მოსაკლავად ვერ იმეტებს, თუ ქათმის მტერს სხვამ ვინმე არ მოკლა.

ავადმყოფობისა თუ რაიმე სხვა მიზეზით მკვდარ მიმინოს გამდინარე წყალში ჩააგდებენ. ან მიწაში ჩამარხავენ.

მწყერობა გურიაში სექტემბრის ბოორე ნახევრიდან იწყება. მწყერზე ნადირობენ უფრო დაბლობში. სანადიროთ გაყვანილ მიმინოს ხიზა უკვე შეხსნილი აქვს, მას უტოვებენ მხოლოდ სახამლავს, სალიამხრეს და ფეხებზე თითო ეყვანს. (მკერდზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეაბამენ ეყვანს, თუ ეყვნებო პატარა ზომისა ან მიმინო წამლებია).

ძალდი გურული მწყერობის აუცილებელი მონაწილეა. მას ბეკა ძალდი ეწოდება. ზოგის თქმით (ლანჩხუთი, პ. ჟორდანიას), ეს იგივე ბეკასია—ჯიშიანი ძალდი, რომელიც დიდი ხანია, რაც შემოვიდა გურიაში.

ძალდის მოთრევა ქათმის შემწვარი ნაწლავით იცოდნენ, რომელსაც მოათრევდნენ ეზოში, შემდეგ დაუმაღავდნენ ძალს და აჩვევდნენ მისი კვლის მიგნებას.

სანადიროდ, როდესაც ნარდი მიმინოთი ნადირობენ, დღის 4 საათის შემდეგ მიდიან. კაპოეტების გაყვანა, როგორც აღვნიშნეთ, დილიდანვეა შესაძლებელი, თუ სიცხე არ უშლის ხელს. სანადიროდ ჩვეულებრივ ერთი მონადირე მიდის. იშვიათ შემთხვევაში იციან 2—3 მონადირის შეამზანაგება.

მწყერობა გურიაში გრძელდება ნოემბრის ბოლომდე, ე. ი. 2—2,5 თვის განმავლობაში. ერთი მონადირე დღეში საშუალოდ 5—10 მწყერს დაიჭერს, ხოლო კაპოეტით ნადირობისას შედარებით მეტს. ზოგჯერ დაჭერილი მწყერის რაოდენობა 30-ს აღემატება. ასეთი ხელბედნიერი ნადირობის შემდეგ მწყერის დაშაშხვაც იციან. დაშაშხული მწყერი 10—15 დღე სძლებს. საზამთროდ მწყერს არა შაშხავენ, თუმცა გარეული იხვისა და სხვა ფრინველის დაშაშხვა გურიაში ფართოდაა გავრცელებული.

მიმინოს გამართვისას მისთვის კვების გარკვეული რეჟიმი დადგენილი. საუკეთესო საკვებად ფრინველის ხორცია შიჩნეული, რომელსაც რეცხავენ ან 1—2 საათის განმავლობაში წყალში ალბობენ, რომ ხორცს სისხლი, ქონი და ძარღვი გააცალონ, დაკეპავენ, დაარგვალავენ თხილის გულის ოდენად და ისე შეაქმევენ მიმინოს.

ნადირობისას მიმინოს კვების წესი იცვლება. მიმინო ნადირობის დამთავრებამდე თითქმის მშვიდი უნდა იყოს. დილით, სანადიროდ წასვლამდე, მიმინოს აქმევენ თხილის გულის ოდენა ხორცის მხოლოდ ორ ნაჭერს: ნადირობისას მას, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მწყერის თვალ-ტვინი ერგება, ნადირობის შემდეგ მიმინოს იმდენს აქმევენ, რომ დილისათვის იგი კვლავ მშვიდი იყოს.

იმ მრავალგვარ დაავადებათა შორის, რომელიც ემართება მიმინოს, გურიაში ცნობილია:

მ ა ვ ლ ი¹—ემართება ძლიერ მიმინოს, რომელსაც მწყერზე ნადირობისას ძარღვი უწყდება (თუ ენასკვება). მავლით დაავადებულ მიმინოს ფრთა უვარდება ძირს; იგი ვერა დგება ვერც ქანდარაზე, ვერც თურზე და ქამის მადა ეკარგება. ეს ავადმყოფობა ჩამომრევი (გადამდები) არ უნდა იყოს, ზოგჯერ თავისით რჩება. თუ თავისით არ განიკურნა, მავლით დაავადებულ მიმინოს ღამე ბალახში ამყოფებენ—ცვარი მოარჩენსო.

ხ უ რ და—მიმინოს ფეხები უხურს და უსივდება. ზოგჯერ ტერფი უღებება. ამ დაავადებას ზოგნი სახამლავს აბრალებენ, ზოგნი მავლის შედეგად სთვლიან. მკურნალობის მიზნით ლედვის ბოლს გააცხელებენ და ზედ შესვამენ დაავადებულ მიმინოს.

ქ ი რ ი—ჩამომრევი სენია. მიმინოს ეს დაავადება შეიძლება შინაური ფრინველისაგანაც გადაედოს. მკურნალობის წესები აქ არ არის ცნობილი.

კ ვ ა ნ ჩ ხ ის ქ ა რ ი—მიმინოს მომეტებულად მაშინ ემართება, როდესაც იგი ძარშია შეგდებული. კვანჩხის ქარისას მიმინო პირს დააღებს, ენას გადამოაღებს, ბუმბულს აიშლის. ამბობენ სასიკვდილო სენიაო.

¹ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან მავლი—ფრინველის სენი მართა.

აღსის ცემა ემართება ჩასაპურებლად წაყვანილ მიმინოს. თუ მწყერმა გადაიყოლა მიმინო, იგი იღლება, ძალას სრულიად კარგავს და დაუძლურებული ბალახზე დაეცემა; ასეთს შემთხვევაში ნადირობას შესწყვეტენ, მიმინოს საკმელს აჭმევენ და სახლში წამოიყვანენ.

წამოყრა—ემართება მიმინოს კვების რეჟიმის დარღვევის შედეგად. ამის საწინააღმდეგოდ რამდენიმე საშუალებას ხმარობენ:

ა. ნისკარტში ცხენის ძუას ამოსდებენ და ბოლოებს თავზე გაუკრავენ. მიმინო ენითა ცდილობს ძუისაგან გათავისუფლებას, ღიზიანდება და წამოყრის მოჭარბებულ საკმელს.

გ. იმავე მიზნით მიმინოს ნესტოში უღიტინებენ ბალახის ღვროთი ან

ბ. ენაზე ძაფს (ტრიეს კუდს) მოაბამენ და რამდენჯერმე წამოზიდავენ.

„თვალნაკრავ“ მიმინოს გურულ მონადირეთა ცრუმორწმუნე ნაწილი შელოცვით მკურნალობდა. მათის აზრით თვალისცემა ზაკვავს¹ ან ქარხიან ადამიანს შეუძლია. ზაკვავ კაცად მიჩნეული იყო მოლაყბე, ტრაბახა, შურიანი და არშიყი ადამიანი.

„ავი თვალის“ წინააღმდეგ მიმინოს ყურის ძირში ბუმბულს შეუწებავდნენ წმინდა სანთლით. ამავე წესსა ხმარობდნენ საერთოდ ავი თვალის საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევაში ბეწვის შეწებვას სანთლით აპოტროპეული ფუნქცია აქვს მინიჭებული.

იმ შემთხვევაში, თუ ეს საშუალება მიმინოს არ იხსნიდა „ავი თვალისაგან“, ცრუმორწმუნე მონადირეები ძველად შელოცვას მიმართავდნენ.

დაავადებად არ ითვლება, მაგრამ ყურადღებას მოითხოვს მიმინოს ზოგი თვისება, მისი ზნით გამოწვეული. ავზიანი მიმინო ხშირად შემკობლაგია ან მწყერის წამლები.

შემკობლავი მიმინო², მწყერს რომ წამოეწევა, ფეხებს ჰკრავს მას, მაგრამ ჰვანგებს არა შლის და მწყერს ვერ იჭერს. მიმინოს ამ თვისებას ზოგი მისი აშპარტავნობით ხსნის, ზოგი მიმინოს გრძელი ან განზე დაყენებული ფეხებით, ხოლო ზოგი მის სისწრაფეს აბრალებს. ამის მიხედვით შემკობლავ მიმინოს ან თითებ-შუა ხორცს გაუსერავენ ოდნავ, ან უკანა ჰვანგზე ხის ბოჭკს (თუ სანთლის რგოლს) გაუკეთებენ, ზოგჯერ ფეხებს ტრიეს კუდით შეუბოროკავენ რამდენიმე დღით—ფეხების ახლო-ახლო ტარება ისწავლოსო.

რაც შეეხება წამლებ მიმინოს, მას კულის ფრთებში ძაფს გაუყრიან და განასკვავენ, რომ მიმინო შორს ვერ წავიდეს ან უკანა ჰვანგზე თხილის რკალს მოურგებენ. რომ მიმინო ადრე დაიღალოს და შორს ვერა ზიდოს მწყერი, ზოგჯერ ამავე მიზნით ფეხებშებორკილი მიმინოთი ნადირობენ.

ყველა ზემოაღწერილი საშუალება ნადირობის ეფექტიანობას, რა თქმა უნდა, ამცირებს, მაგრამ ეს თვისებები მხოლოდ მიმინოს გამართვის შემდეგ

¹ ს. ს. ფრბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამოც., სიტყვასთან ზაკვავა—პირით სიყვარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს; მზაკუარი ეშმაკი არს.

² იქვე, სიტყვასთან კობლავა—ბაზი კლანჭთ შეკუმშვასაგან ვერ იჭერდეს ნადირთა.

მელავენდება, როდესაც მწყერობა უკვე დაწყებულია და მონადირეს აღარ აქვს საშუალება სხვა მიმინოს გამართვისა.

მიმინოს მოპარვა გურიაში იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენდა. იცოდნენ ნაქურდული მიმინოს შეღებვა სისხლში გალესილი ყანგით, რომლითაც მკერდს უღებავდნენ მიმინოს. მაგრამ კარგი მიმინოს ფრთხილ პატრონს საკუთრების თავისებური ნიშნები გააჩნდა, რომლითაც მას მუდამ შეეძლო დაემტკიცებია თავისი უფლებები მოპარულ მიმინოზე. ამ მიზნით ბაზიერი ან კულის დაფარულ ფრთას ამოუწვავდა ოდნავ, ან ბუმბულს ამოაცლიდა შეუმჩნეველ ადგილზე, ან ფრჩხილზე დანით ნიშანს ამოუკვეთავდა, ან ფისით შეუწებავდა ბუმბულს ძნელად მისაგნებ ადგილზე და სხვა.

მიმინოს ზემოაღნიშნული წესით დაჭერისა, გამართვისა და მწყერობის გარდა გურულმა მონადირეებმა იციან სხვა წესიც, რომელსაც თათრულაჲს უწოდებენ. თუმცა გურიაში თათრულაჲ შედარებით კარგადაა ცნობილი, ამ წესით ნადირობა აქ არაა გავრცელებული და იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს.

თათრულაჲ, როგორც მწყერობის ერთი ფორმა, გურული მწყერობისაგან განსხვავდება. ძირითადას და ზოგად განმასხვავებელ ნიშანს, მწყერობის სირთულე-სიმარტივე წარმოადგენს. თათრულაჲ, გურული მონადირეების თქმით, ახლაც გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე და განსაკუთრებით აჭარაში.

გურული მწყერობისა და თათრულაჲს ძირითადი ელემენტების დაპირისპირება თვალსაჩინო განსხვავებათა რიგს გვაძლევს.

1. თათრულაჲს წესით მონადირეები მიმინოს დასაჭერად მისატყუარ ფრინველს არა ხმარობენ და ამდენად არც ლაყოს დაჭერა-გამართვა აქვთ წესად. მიმინოს, ასეთს შემთხვევაში, ე. წ. ოკიდოშას საშუალებით იჭერენ. ეს ბადე, ჩვეულებრივ, ან ხეზეა გაბმული ან ნაგრებშია დაგებული.

2. შესაბამისად ამისა აჭარელ ბაზიერებს არც ბადესთან დარაჯობა აქვთ წესად. რამდენიმე ადგილას დილით გამართულ ოკიდოშას საღამოზე ჩამოუვლიან, ბადეში გაბმულ მიმინოს აიყვანენ და ნაჭერში გახვეულს სახლში წაიღებენ.

3. არ არის მიღებული ახლად დაჭერილი მიმინოს თვალის აბმა.

4. მიმინოს კვების წესიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ახლად დაჭერილ მიმინოს პირველი ორი დღის განმავლობაში საერთოდ არაფერს არ აჭმევენ. მესამე დღიდან მიმინოს საჭმელად მხოლოდ კვერცხის გულს აძლევენ.

5. როგორც წესი, საქნიერზე მოსვლას მიმინოს არ ასწავლიან რადგან:

6. მწყერზე ნადირობისას მიმინოს ხიზას არ ხსნიან. თათრულაჲთ ნადირობის დროს სახამლავზე მობმული ხიზას მეორე ბოლო მარცხენა ხელის მაჯაზეა დამაგრებული, ხოლო საკპაოდ გრძელი ხიზა, ფართოდ დახვეული, მარცხენა ხელისავე ნეკით უჭირავთ. ნადირობის დროს მიმინო ხელში ჰყავთ დაჭერილი და მიტევებისას მწყერზე მიაგდებენ ხოლმე.

7. ნადირობაში ძალღი არ იღებს მონაწილეობას, მწყერის აყენება ხის გრძელი ტოტით იციან.

8. ამგვარი წესით ნადირობისას არც კაპოეტის გამოყენას მისდევენ.

გურული მწყერობისა და თათრულად მარტო ამ ელემენტების შედარებაც კი ნათელყოფს, რომ თათრულად მწყერზე ნადირობის გამარტივებული ან განუვითარებელი ფორმაა.

II

ეთნოგრაფიული მასალა ქორ-შევარდნით ნადირობის შესახებ საქართველოს სხვა კუთხეებში მცირეა და სისრულეს მოკლებული; მიუხედავად ამისა ზოგიერთი ელემენტის სავარაუდო პარალელის დადგენა შესაძლებელი ხდება.

საქართველოს მთიანეთში, სახელდობრ: სვანეთსა, რაჭასა და ხევსურეთში, ამ საკითხზე მასალა სრულებით არ აღმოჩნდა.

კახეთისათვის მოიპოვება რ. ერისთავის შედარებით ვრცელი აღწერილობა ქორ-შევარდნით ნადირობისა. ამ მასალის დაპირისპირებით გურულთან ვარკვეული და ნიშანდობლივი პარალელების დადგენაა შესაძლებელი¹. კახეთში დამოწმებულია მიმინოს გამართვის ისეთი არსებითი ელემენტები, როგორცაა მიმინოს თვალის აბმა ძაფის საშუალებით, მისი ბოლოების შეკვრითურთ, ბოკილი და სახამლავი (კახეთში ხამლებად წოდებული), ღამის თევა, მიმინოს კვების რეჟიმი და კერძოდ ხორცის წინასწარი წემზადების წესები, მკურნალობის ზოგი საშუალება, საქნიერზე მოსვლის სწავლების თანმიმდევრობა, მიმინოს ჩაპურება და სხვ. ყოველივე ეს უცთომლად მიგვითითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ტიპოლოგიურად ერთსა და იმავე ეთნოგრაფიულ მოვლენასთან.

დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ მეტნაკლებად შერეული სურათია. დადგენილი, რაც შეიძლება წყაროების სიმცირისა და მათი ხასიათითაც იყოს ერთი მხრით შეპირობებული.

შარდენის ცნობით, მაგალითად სამეგრელოში, მალალ წოდებაში მეტად გავრცელებული ყოფილა წყლის ფრინველზე მიმინოთი ნადირობა (სურ. № 2). მაგრამ სამეგრელოში ნადირობდნენ როგორც ეს მოსალოდნელია ფეოდალური არისტოკრატის წრეებისათვის ცხენზე ამხედრებულნი და სანადირო ფრინველს დოლის ხმით აყენებდნენ და არა ძაღლის საშუალებით².

შარდენის ცნობათა განხილვისას, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ნადირობის ეს ელემენტები ნაწილობრივ განსხვავდება ქორ-შევარდნით ნადირობის გურული წესებისაგან,

ი. ევლახოვი მხოლოდ გაკვრით ეხება მწყერზე ნადირობას იმერეთში³. ამ მეტად შემთხვევითი ხასიათის ჩვენებიდან ირკვევა, რომ იმერეთშიც და სამეგრელოშიც მიმინოს მწყერზე მიტევებისას მას ხიზა არა ჰქონია შეხსნილი. ეს ელემენტი, როგორც გაირკვა გურულის მახასიათებელი არ არის. ნადი-

¹ Р. Эрстов, Охота за фазанами в Кахетии, „Кавказ“, 1847 г., № 20.

² Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 г.г., Тифлис, 1902 г., გვ. 26; სურათი ამოღებულია კასტელის ალბომიდან.

³ И. Евлахов, Заметки на пути в Мингрелию (Хони-Мартвили), „Кавказ“, 1847, № 9.

რობის დანარჩენ ელემენტებზე მსჯელობა ი. ევლახოვის მიერ მოცემული მასალის ფარგლებში შეუძლებელია.

ა. ჰაქსტჰაუზენი ასევე გაკვრით ეხება მტაცებელი ფრინველის საშუალებით ნადირობას ხოხობზე სამეგრელოში; მას მხოლოდ შეფარდნით ნადირობა აქვს ნაგულისხმევი¹.

K 8852
2



სურ. 2

საინტერესო სურათს გვიხატავს გურული მასალის შედარება ლაზურთან.

ლაქოს ლაზები საგანგებო მანით იჭერენ, რომელსაც ძროხის კუდის ძუი-საგან ამზადებენ და რომელზედაც მისატყუებლად კალიას ამაგრებენ². ლაქოს დასაჭერ მახეს ქანდარა ეწოდება³, თუმცა მისთვის ერეკი-ც არის დამოწმებული⁴; ჩიტბადობის ადგილს ო-რაკენე ეწოდება⁵.

მიმინოს დასაჭერად ჩიტბადითა და ლაქოთი მიდიან. ნ. მარის შეკითხვაზე, თუ როგორ იჭერენ ლაზები მიმინოს, მთხრობელი უპასუხებს: „ბადე გვაქვს და როდესაც ლაქოს ავათამაშებთ წინ, მიმინო მოხვდება ბადეში და ჩვენ მას ვიჭერთ“⁶.

¹ A. Haxthausen, Transkaukasien, I, Leipzig, 1856. გვ. 20, შენიშვნა.


² Н. Март, Грамматика чанского языка, Спб., 1910, ქრესტომატია, გვ. 88.

³ იქვე, სიტყვასთან ქანდარა.

⁴ იქვე, სიტყვასთან ერეკი.

⁵ იქვე, სიტყვასთან ო-რაკენე.

⁶ იქვე, ქრესტომატია, გვ. 98.



ამ ბადეს სინდომი ეწოდება (ს. ორბელიანს იგი არ აქვს ნახსენები). სინდომი სამკუთხი ფორმისაა, იგი განკუთვნილია მიმინოს დასაპერად; ბადე გადაჭიმულია ორ ჯოხზე, რომლის ბოლოები კუთხესა ჰქმნიან¹. სინდომის ეს აღწერილობა სავსებით ემთხვევა გურულ ჩიტბადეს.

ლაზებს მიმინოს გამართვისას ბავლის გაგდებაც სცოდნიათ². ასეთივე მსგავსების სურათს გვაძლევს მიმინოს საჯდომი ქანდაკა, რომელსაც აქ დატონი³ ეწოდება და ძარო⁴, რომელიც ლაზურში იმავე სიტყვით აღინიშნება.

გურული და ლაზური მწყერობის დაპირისპირების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ნ. მარის ცნობა იმ განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ, რომელსაც იჩენენ ლაზები მიმინოს მიმართ⁵.

ზემოთ მოყვანილი შესადარებელი მასალა საბუთს გვაძლევს ყიყარაუდოთ, რომ გურული მწყერობა არსებითი ელემენტებით ტიპოლოგიურად უკავშირდება ერთი მხრით მწყერზე ნადირობის ლაზურ წესს, ხოლო მეორე მხრით მიმინოს გამართვის მომენტში მიმინოთი ნადირობის კახეთში დამოწმებულ წესს.

იმერეთისა და სამეგრელოს შესახებ მხოლოდ იმის თქმა შესაძლებელი რომ აქ დამოწმებულია მიმინოთი ნადირობის თავისებური ელემენტები (ხიზაშებმული მიმინოთი ნადირობა; ცხენი და დოლი), რომელთაც პარალელი გურულ მასალაში არ მოეძებნება.

აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთის შესახებ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ (მაგ. დიდოეთში) სანადირო ფრინველის სახელწოდების მეტი (ქორზაკუ) არაფერი არაა ამ მხრივ საინტერესო დამოწმებული⁶. დალისტანის დანარჩენ კუთხეებში დადგენილია ყეენობის მაგვარი გასართობი, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს, სახელწოდებით ბაზიერს ხელზე მამალი (მიმინოს ნაცვლად?) უზის და მაპლის მიტევეებით აშინებს დამსწრეებს⁷. დალისტანისათვის მოგვეპოვება კიდევ ერთი ცნობა, რომელშიაც ვკითხულობთ: „დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა მოიპოვება თუ არა მაღალმთიან დალისტანში შევარდენი; ყოველ შემთხვევაში შევარდენის აღსანიშნავად მთურ ენებში სხვა სახელწოდება არ არსებობს გარდა ლაჩინისა, რომელიც თურქებისაგანაა ნასესხები⁸. შევარდენის ამ სახელწოდების თურქულ წარმოშობილობაზე ნ. დიმიტრიევიც მიუთითებს⁹.

მტაცებელი ფრინველის საშუალებით ნადირობაზე დალისტანში გ. დემენტიევი მიუთითებს¹⁰, მაგრამ არ უჩვენებს, რომელი მტაცებელი ფრინ-

¹ ნ. მარი, დასახ. ნაშრ., სიტყვასთან სინდომი.

² იქვე, ქრესტოპატია, გვ. 87.

³ იქვე, სიტყვასთან დატონი.

⁴ იქვე, სიტყვასთან ძარო.

⁵ Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, ИАН, VI, Спб., 1910, № 7, გვ. 626

⁶ აღ. რობაქიძე, დიდოეთის 1940 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.

⁷ П. Пржецлавский, Нравы и обычаи в Дагестане, В. Сб., т. 12, 1860, გვ. 294.

⁸ Народные сказания Кавказских горцев, в 1. Т. 1868, გვ. 9.

⁹ Н. Дмитриев, Турецкие лексические элементы в номенклатуре соколов царя Алексея Михайловича, Доклады АН СССР, 1926, გვ. 13.

¹⁰ Г. Деметьев, Охота с ловчими птицами, М. 1935, გვ. 4.

ველია აქ გამოყენებული (ქორი თუ შვეარდენი), დაღისტანის საკუთრივ რა ადგილებშია დამოწმებული ნადირობის ეს ფორმა და რა კონკრეტულ სახეს ატარებს იგი.

ლექების მიერ მიმინოს გამოყენებას ნადირობისას რ. ერისთავი ამოწმებს¹, მაგრამ ამ ცნობაში მხოლოდ ჭარ-ბელაქნელი ლექები იგულისხმებიან.

ამიერ-კავკასიის თურქულ მოსახლეობაში დამოწმებული მიმინოს დაჭერის, გამართვისა და მისით ნადირობის წესები რამდენადმე განსხვავდებიან იმ მასალისაგან, რომელიც გურიაშია დადგენილი და რომლის პარალელები ერთი მხრით ლაზებს აღმოაჩნდათ, ხოლო მეორე მხრით კახელებს.

კოლენატის ცნობით, რომელიც Al. Zeit-სა აქვს მოყვანილი², ამიერ-კავკასიის თურქული მოსახლეობა მიმინოს ჩიტბადისა და მისატყუარი ფრინველის საშუალებით იჭერს. მისატყუარის როლს ამ შემთხვევაში მწყერი, ღურაჯი ან სხვა ამის მსგავსი ფრინველი ასრულებს. მაგრამ, განსხვავებით გურული მონადირეებისაგან ჩიტბადეს, მასში მიმინოს ჩახვევის შემდეგ, თოკის საშუალებით ხურავენ, რომლის ერთი ბოლო ჩიტბადის ტარზეა მიბმული, ხოლო მეორე ბოლო, განზე ორმოში დამალულ მოჩიტბადეს უჭირავს. დაჭერილ მიმინოს თვალზე რალაცას (ჟალ. რ.) ააკრავენ. ახლად დაჭერილ მიმინოს თვალის აბმა ძაფით (როგორც გურიაში) აქ არ იციან. მიმინოს გამართვის ძირითად პირობას აქაც მისი დაღლილობა და შიმშილი წარმოადგენს; ასევე უკეთებენ მიმინოს სახანლავსაც, მაგრამ ლითონის რგოლებისას: საქნიერზე მოსვლას მიმინოს გურიაში დამოწმებული წესით ასწავლიან—ხიზას თანდათანობითი დაგრძელება და საჭმელზე მიპატიჟება; ნადირობის წინა დღეს მიმინოს აშიმშილებენ; მიმინოს მარცხენა ხელზე დაჰყავთ, რომელზედაც საფუხარია ჩაცმული, წესად აქვთ მიმინოს დათვალტვინება და სხვ³.

მსგავსი წესები მიმინოს დაჭერა-გამართვისა და მისით ნადირობისა დამოწმებული აქვს გ. ტ-ვ-ს სოფ. კუშიკენტის თათრულ მოსახლეობაში⁴.

თურქმენები, ნ. ვუჩეტიჩის თქმით, მიმინოს ბადითა და მისატყუარი ფრინველით იჭერენ, მაგრამ მისატყუარი ფრინველის წინასწარი გამართვა მათ არ იციან⁵. მიმინოს დასაჭერი ბადე ნახევარწრისებრია, ირიბადაა დადგმული და მის ქვეშ მისატყუარი ფრინველია მოთავსებული; მონადირე ბადეს არ უდარაჯებს. თურქმენი მონადირეები მიმინოს მოსათვინიერებლად მას ჯერ ხელზე ატარებენ, ფეხებზე მიმინოს სახანლავს უკეთებენ ზედმომბმული ხიზით. ორი-სამი კვირის შემდეგ მიმინოს საქნიერზე მოსვლას ასწავლიან ხიზას თანდათანობითი დაგრძელების საშუალებით, შემდეგ ხიზას ხსნიან და ფრინველზე ხიზაშეხსნილი მიმინოთი ნადირობენ.

მტაცებელი ფრინველით ნადირობაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (ყოფ. ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიები) ა. კალინოვსკი მიუთი.

¹ Р. Эристов, Охота за фазанами в Казетии, „Кавказ“, 1847, № 20.

² Al. Zeit., Ястребинная охота, „Кавказ“, 1846, № 40.

³ იქვე.

⁴ Г. Т-в, Путевые заметки, „Кавказ“, 1858, № 6.

⁵ Н. Вучетич, Из кочевой жизни туркменцев, „Кавказ“, 1847, № 84—87.

თებს მაგრამ მას, ამ შემთხვევაში მხოლოდ შევარდნით ნადირობა აქვს მხედველობაში¹.

თურქესტანში მიმინოს ასევე ჩიტბადით იჭერენ²; ზოგჯერ ჩიტბადე ორსამ გრძელ ტოტზეა ამოქსოვილი (როგორც ეს გურიაშია დამოწმებული) და მიწაზე დასმული; ზოგჯერ, თათრულაძის ოკიდროშას მსგავსად, ჩიტბადე ხეზეა მოწყობილი. ჩიტბადობისას მისატყუარი ფრინველის გამოყენება აქ არ იციან და არც ჩიტბადეს უდარაჯებენ. მიმინოს გამართვის ძირითად პირობად აქაც დაღლილობა და შიმშილია მიჩნეული; მიმინოს, ჩვეულებრივ, ცხვრის ხორციტ ჰკვებავენ, ზემოხსენებული წესით წინასწარ შემზადებულით. ნადირობენ თურქმენი მონადირეები ცხენზე მჯდომარენი და სანადირო ფრინველს დოლის ხმით აყენებენ ზეზე.

მიმინოთი ნადირობის იმ წესის დახასიათებისათვის, რომელიც ინდოეთსა და ირანში ყოფილა გავრცელებული, ჩვენს მიერ გამოყენებულია ცნობილი „ბაზ-ნამე“, XIV ს-ის სპარსული ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ტრაქტატს მტაცებელი ფრინველის დაჭერა-გამართვისა, მისი მოვლა-პატრონობისა და მისით ნადირობის შესახებ³.

ტრაქტატი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მტაცებელი ფრინველით ნადირობის ე. წ. ინდურ-ირანული წესების შესახებ და მათი შედარება გურული მწყერობისათვის მახასიათებელ წესებთან მნიშვნელოვანი განსხვავების სურათს გვიხატავს.

განმასხვავებელ ნიშანთა რიგს მიმინოთი ნადირობის შემდეგი ძირითადი ელემენტები ეკუთვნიან:

1. ბაზ-ნამეს მიხედვით მიმინოს, ჩვეულებრივ, ხეზე ჩამოსაკიდი ბადით იჭერენ („ამ კუთხის მონადირეებიც ამ ხეებზე აგებენ ბადეს“).

2. მიმინოს თურზე არა სვამენ—იგი მუდამ ქანდარაზე ჰყავთ მჯდომარე („საჯდომი და ქანდარა მიმინოსათვის, შევარდნისათვის გრძელი და წვრილი უნდა იყოს, რათა მათ შესძლონ ხის კარგად ჩაბლუჯვა; ვინაიდან ისინი ხეზე მჯდომი და მტაცებელი ფრინველები არიან“).

3. მიმინოს თვალს მესამე დღეს აუხელენ („სამ დღეზე მეტ ხანს თვალაკრულს ნუ ამყოფებენ“).

4. საქნიერზე მოსვლას მიმინოს ორი ბაზიერი ასწავლის („როცა შორიდან დაუძახებ (მიმინოს), თოკი ორივე ბაზიერს,—ერთს იმას, ვისაც ხელზე ჰყავს მიმინო და მეორეს იმას, ვინც უხმობს, მას—მიაბი და ძალიან მოკიმიული დაიჭირე“).

5. მიმინოს ჩვეულებრივ მისი სურვილის მიხედვით აკმევენ („ახალგაზრდა მიმინოს ნუ დაამკლევებ, პირიქით ის მსუქანი უნდა გყავდეს, რომ მუდამ ცოცხალი გამომეტყველებისა და ნადირზე დახარბებული იყოს“).

¹ А. Калиновский, Очерк кавказской фауны и кавказских охот, Тиф., 1900, გვ. 98.

² Г. Даментъев, დასახ ნაშრ., გვ. 5^Р.

³ Baz-Nama, Edited in the original persien with english notes by D. C. Philet, Calcutta 1908. ძირითადი ნაწილი ამ ძეგლისა გადმოქართულებულია სპარსულიდან დოც. ვლ. ფუთუჩიძის მიერ ჩვენის თხოვნით, რისთვისაც მას უაღრეს მადლობას მოვასხენებთ.

6. მიმინოს ახლო არ გააკარებენ ცეცხლს, ძაღლს, ქალსა და ბავშვს („ხოლო მიმინო შემდეგ ოთხ რამეს უნდა ერიდებოდეს; ცეცხლს, ძაღლს, ქალსა და ბავშვს“).

7. მიმინოთი ნადირობისას ძაღლი არ მონაწილეობს, ნადირობენ ცხენზე ამხედრებულნი და სანადირო ფრინველს დოლის ხმით წამოშლიან ხოლმე.

8. მკვეთრადაა განსხვავებული ფუნქციები მიმინოს დამჭერისა, მისი მწრთენელისა და მონადირისა.

9. ის მრავალგვარი დაავადება და მკურნალობის საშუალება, რომლებიც ბაზ-ნამეშია მოხსენებული, უმეტეს ნაწილში გურული მონადირეებისათვის უცნობია.

ბაზ-ნამეში მოცემული ნადირობის წესების ის ელემენტები, რომლებიც მსგავსი ნიშნების რიგს ეკუთვნიან, უფრო ზოგადი ხასიათისაა:

1. მიმინოთი ნადირობა გართობის ყველაზე სასიამოვნო სახეობადაა მიჩნეული („საცქერლად და მოსალხენად ფრინველის ყოლაზე და მათით ნადირობაზე უფრო კარგი არა მოიპოვება რა“),

2. ბაზიერმა, უკეთუ იგი ყბეღია, ტრაბახა და შურიანი, შეიძლება დაასწავლოს მიმინო („შურიანი ყუშჩისაგან ფრინველს ავადმყოფობა უჩნდება“ ჯნ „ბაზიერი არ უნდა იყოს ყბეღი და ტრაბახა“),

3. მიმინოს მოთვინიერება მისი ხალხში და ქუჩაში ტარებითაა საჭირო („უნდა წაიყვანო ბაზარზე, მჭედლებში და ნეჭვაბებში და უნდა ატარო ბაზრებსა და ქუჩებში, რომ კარგად მოშინაურდეს“).

4. ბავლის გაგდება—მიმინოს გამართვის აუცილებელი საფეხურია („როცა შენ მოგიახლოვდება, მტრედი წინ დაუგდე მიმინოს, რომ დაიჭიროს“),

5. ნადირობის პირველ დღეებში მიმინოს მხოლოდ თითო ფრინველს დააჭერინებენ („შემდეგ ყოველდღე ერთი ფრინველით დაკმაყოფილდი, სანამ ათამდე არ მიაღწიოს“).

მსგავსება-განსხვავების მანიშნებელი ფაქტების გამრავლება კვლავადაც შეიძლებოდა, მაგრამ მოყვანილიც გვიჩვენებს, რომ განსხვავება მიმინოს დაჭერა-გამართვისა და მისით ნადირობის ისეთს არსებით მხარეებს შეეხება, რომ ნადირობის ეს ინდურ-ირანული წესი არ შეიძლება გურულისაგან ტიპოლოგიურად განსხვავებულ მოვლენად არ ჩავთვალოთ.

III

ზემომოყვანილი აღწერილობითი მასალა ქორ-შევარდნით ნადირობისა იმ რიგის თავისებურებას წარმოაჩენს, რომლითაც იგი არსებითად განსხვავდება ნადირობის სხვა ფორმათაგან. ეს თავისებურებაა: მონადირე ფრინველის მოვლა-შენახვისათვის ისეთი სპეციფიკური პირობების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც ხალხისათვის მიუწვდომელი იყო და ქორ-შევარდნით ნადირობის მეტად უმნიშვნელო ეკონომიური ეფექტი. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ერთ-ერთ

საბუთად გამოდგება იმის მტკიცებისათვის, რომ მიმინოთი ნადირობის აქალწერილი ფორმის არსებობა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში¹.

ამ თვალსაზრისით შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესმა გახანგრძლივებული სახე მიიღო, მაგ., ზემო-სვანეთში, მთის რაჭაში, და ხევსურეთში, ნადირობის ეს ფორმა არ არის დამოწმებული.

ნადირობის ძველთაგან ცნობილმა ფორმებმა (და მათ შორის კოლექტიურმა ნადირობამ) კლასობრივ საზოგადოებაში ცვლილება განიცადა და გარკვეული ინსტიტუტის სახე მიიღო. იგი „...სამხედრო ვარჯიშობის მაგიერი იყო და ბეგარავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა“²; XVIII ს-ის ძეგლებში ლაშქარ-ნადირობა „ხელმწიფის სამართლის რიგად“ იწოდება³. ამიტომია სწორედ, რომ სითარხნისა თუ შეწირულების წიგნებში, რომლებიც ადასტურებენ გლეხის შეუვალობას სახელმწიფო და საბატონო გამოსაღებისაგან, ჩამოთვლილია ყველა სახის გადასახადი—ვალდებულება „თვინიერ ლაშქარ-ნადირობისა“.

მით უმეტეს ეს ითქმის ქორ-შევარდნით ნადირობის შესახებ, რომლის წარმოშობის ბუნებრივ გარემოდ ვერ მივიჩნევთ პირველყოფილ-თემურ წყობილებას. ქორ-შევარდნით ნადირობა, მისი საქართველოში არსებობის ჩვენთვის ცნობილ მანძილზე, მუდამ და მტკიცედ იყო დაკავშირებული გარკვეული სახის გამოსაღებთან. ეს გამოსაღები 1547 წლის იაკობის ძეთა სიგელში „საბაზიეროს“ სახელს ატარებს⁴, 1645 წლის სითარხნის წიგნში მას „საბაზიერო ქათამი“ ეწოდება⁵, 1716 წლის წყალობის წიგნში „საჩვენო ქორი“⁶, 1712 წლის ნასყიდობის წიგნში „შავარდნის საზლაური“⁷ და სხვ. მარტო ქართლში გაფანტული ყოფილა ოცამდე ბუდე შევარდნისა, რომელთა მოვლა-პატრონობა ბეგრად აწვა ხალხს⁸; ანალოგიური დაბეგვრა კახეთშიაც იყო ცნობილი⁹.

ფეოდალური მმართველობის აპარატში ქორ-შევარდნით ნადირობას უძღვებოდა მაღალი თანამდებობის სპეციალური პირი—ბაზიერთუხუცესი, რომლის ხელისა იყო: „სრულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძალღენი, ძალღენი, ტყეთა და ველთა მცველნი, სანადიროთა მეფისათა“¹⁰.

¹ აღ. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბ. 1941, გვ. 112—114.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს გონომიური ისტორია, 1, ტფ. 1930, გვ. 147.

³ Д. Пурцеладзе, Церковные гуджары (грамоты) Т. 1881, გვ. 139.

⁴ საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ. 1909, გვ. 375.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, თბ. 1940, გვ. 365.

⁶ იქვე, გვ. 387.

⁷ იქვე, გვ. 169.

⁸ ვახტანგ VI, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედ., ტფ., 1886, გვ. 99 და შმდ.

⁹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 136.

¹⁰ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტფ., 1941, გვ. 16.

გურიაში (სოფ. სამება) ჩაწერილი მასალით, აქარიდან ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს (თუ უფრო ადრე) გადმოსახლებული გოგუაძეები, შემდეგში გურიელის „მეწამლენი და ბაზიარნი გამხდარან“. საკუთრივ ბაზიარებს დავალებული ჰქონიათ ქორ-შევარდნის დაჭერა, გამართვა, მოვლა-პატრონობა და ნადირობის დროს მონაწილეობის მიღება. გურიელის გლეხები ბაზიარებს უხდიდნენ ე. წ. „საბაზარობს“, წელიწადში ორ-ორ ქათამს, აქედან წარმომდგარა გვარი ბაზიარი.

ამ რიგის მასალა დამოწმებული აქვს ა. ლამბერტის სამეგრელოში¹. ლაზთა შორის მიმინოთი ნადირობას ნ. მარი თავადაზნაურული ნადირობის გადმონაშთს უწოდებდა², და, როგორც ეტყობა, ეს გარემოება არ შეიძლება მხოლოდ საქართველოს თავისებურებას³.

რომ ქორ-შევარდნით ნადირობა არისტოკრატიული ნადირობის ტიპურ ფორმას წარმოადგენდა, კარგადა ჩანს თეიმურაზ II-ის შემდეგი ტაეპიდან:

„ვთქვა წვრილად ნადირობანი წვროსი გავაზითაო,
ვინ ინადირებს სხვა კაცი, თუ არ ბატონი გზითაო,
ბევრი ხარჯი აქვს ქუდიანს მფრინველსა შენახვითაო“⁴

ან ნეორე ადგილას უფრო ზუსტად და მკაფიოდ:

„გლეხმან კაცმან სხარტი იცის იმწყერაოს, ინარებსა“⁵.

საქართველოში, როგორც მოსალოდნელია, ქორ-შევარდნით ნადირობა ადრეც ყოფილა ცნობილი. გვერდი რომ აუაროთ კიდევ ქორით ნადირობის ფაქტს, შემონახულს ლეგენდაში თბილისის დაარსების შესახებ⁶, X ს-ის ერთს გუჯარში „კაპოეტი ქორის“ ხსენება მეძებრებთან და მწვევრებთან ერთად⁷. ამაზე თვალნათლივ მიუთითებს.

ქორ-შევარდნით ნადირობას განსაკუთრებულ სიმაღლემდე მიუღწევია თამარ მეფის დროს, როდესაც „სანადიროთა ქორთა და ძაღლთა სიმრავლე და სატურფე და მოკაზმულობაჲ არაოდეს ვისგან ქმნილა, არცა წიაღ მომართ ყოფად არს“⁸. ამ დროისათვის სამეფო კარზე „შევარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა“⁹, და, ჩანს, შევარდენი ითვლებოდა არა მარტო მონადირე,

¹ А. Ламберти, Описание Колхиды, СМОНПК, 43, Т. 1913, 33. 61.

² Н. Марр, Из поездки в Турецкий Лавистан, ИАН, VI серия, Спб. 1910, № 7, 33. 626

³ В. Ген, Культурные растения и домашние животные... Спб. 1872, 83. 214—218.

⁴ თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, ჯაკობიას რედ. თბ. 1939, ტ. 644.

⁵ იქვე, ტ. 683 შდრ; ა. ლამბერტის, რომელიც თავის აღწერილობის 211 გვერდზე საკლებით ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს („... Мингрельцы вообще ловят его ястребами, а крестьяне западней“), ხოლო მეორე გვერდზე, თითქოს ამის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებს, რომ მწყერობის დროს ყოველ მეგრულს, დიდსა და პატარას, ხელზე შევარდენი (?) უხის.

⁶ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1884, 33. 44,

⁷ თ. უორდანი, ქრონიკები, ნ. I.; თბ. 1892, 33. 88.

⁸ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედ. თბ. 1941, 33. 67.

⁹ შ. რუსთველის ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსანი, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, ტფ. 1937, ტ. 1. შდშ

არამედ მეფეთა დარბაზების დამამშვენებელ ფრინველადაც. მრავალი ქვეყნისა და საოცრების მხილველის მ. პოლოს სიტყვით საქართველო განთქმული ყოფილა „მსოფლიოში საუკეთესო შვეარდნებით“¹; ძნელ-ბედობასაც ვერ მოუშლია საქართველოში ქორ-შვეარდნის ბუდეები: მონღოლებს აქედან გაჰყავდათ მონადირე ფრინველი ხარკის სახით².

XVII და შემდგომ საუკუნეებში ქორ-შვეარდნით ნადირობას კვლავ დიდ ადგილი უჭირავს სამეფო კარის ცხოვრებაში. ამას მოწმობს როგორც როსტომის სასახლის შარდენისეული აღწერილობა („საუკეთესო ნადირობა შვეარდნით, რომელიც კი შეიძლება სადმე ნახოს ადამიანმა“³), ისევე ვახტანგ VI-სა და ვახუშტის უკვე მოხსენებული ცნობები.

მაშასადამე, ზემომოყვანილი გურული ეთნოგრაფიული მასალა და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების ზოგი მონაცემი საფუძველს იძლევა დავადგინოთ ქორ-შვეარდნით ნადირობის ბუნება, მივიჩნიოთ იგი როგორც არისტოკრატიული ნადირობის ფორმა და მისი ამ სახით წარმოშობი გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმაციას დაუკავშიროთ.

ნადირობის ცნობილ ფორმათა შორის ქორ-შვეარდნით ნადირობა ყველაზე გვიანდელი ჩანს. ე. მონტანდონის სიტყვით, „მტაცებელი ფრინველით ნადირობა „უმდაბლესი კულტურული ციკლების ხალხთა“ შორის არ არის დამოწმებული“. ამგვარი ნადირობა, ზემოხსენებული ავტორის თქმით, „საშუალო ცივილიზაციების ეპოქას“ ეკუთვნის. ასეთი განსაზღვრა პირობითია, რადგან მონტანდონისეული „cultures intermédiaires“ კულტურის 12 სხვადასხვა ციკლს მოიცავს, დაწყებულს ტოტემისტურით და გათავებულს ისლამოიდურით, ზოგიერთის უფრო ფრთხილი განსაზღვრით, ქორ-შვეარდნით ნადირობა „არ არსებობდა გვაროვნული წყობილების იმ საფეხურზე, რომელზედაც იროკეზები იმყოფებოდნენ“ და განვითარების ამ სტადიაზე მას არც შეეძლო არსებობა⁵.

მტაცებელი ფრინველით ნადირობის ფაქტი ძველს ეგვიპტეში, ვგონებ, არ უნდა იყოს დამოწმებული. მასპეროს, რომელიც საგანგებოდ იხილავს ნადირობის ფორმებს ძველს ეგვიპტეში, ნადირობის ერთი გამოსახულება აქვს მოყვანილი; ამ გამოსახულებაში მოშინაურებული ფრინველიც მოჩანს, რომელიც, ავტორის განმარტებით, მისატყუარ ფრინველს წარმოადგენს და არამონადირეს⁶. ხსენებული გამოსახულების ამგვარ ინტერპრეტაციას სხვა მკვლევარნიც იზიარებენ.⁷

არც ჰეროდოტეს და არც სტრაბონს პირდაპირი ცნობა ძველს აღმოსავლეთში ქორ-შვეარდნით ნადირობის შესახებ არა აქვთ მოცემული, თუმცა ორივე მიუთითებს იმ დიდ საკულტო მნიშვნელობაზე, რომელიც გააჩნდა.

¹ М. Поло, Путешествие..., ЗИРГО, XXVI., Тиф. 1902, 88. 30.

² История монголов инока Магакия, СПб. 1871, 88. 22.

³ Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 г. г., Тиф. 1902, 88. 202.

⁴ G. Montandon, Traité d' Ethnologie cyclo-culturelle..., Paris, 1934, 88. 47.

⁵ А. З., Речевная е. ტელორის შრომის რუსულ თარგმანზე. „Первобытная культура“ М. 1939, ჟურნალში „ВДИ“, 1939, № 3, 88. 41.

⁶ Масперо, Древняя история, СПб. 1890, 88. 83.

⁷ Д. Корончевский, Древнейший спорт, СПб. 1892, 88. 33.

ფრინველს ძველს რელიგიურ აზროვნებასა და წეს-ჩვეულებებში: ამ მხრივ საინტერესო ცნობებს საკუთრივ ეგვიპტეს შესახებ იგივე სტრაბონი გვაწვდის¹ სხვა ფრინველთა შორის მიმინოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ეგვიპტეში ჰეროდოტე მიუთითებს. იგი აღნიშნავს, რომ საერთოდ საკულტო ცხოველის მკვლელის დასჯისას ასხვაებდნენ განზრახვით და შემთხვევით ჩადენილ მკვლელობას, მიმინოს მკვლეელი კი, განურჩევლად ამისა, ორივე შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა². ცნობილია შევარდნის მნიშვნელოვანი ადგილი ეგვიპტურ ლეთაებათა პანთეონში³; შევარდნის გამოსახულება ეგვიპტეში სამხედრო შტანდარტის ფუნქციას ასრულებდა⁴; იგი ზოგჯერ გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენდა⁵.

ასურეთში, ჩსევე როგორც ძველს ეგვიპტეში, ქორ-შევარდნის რელიგიურ წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

მტაცებელი ფრინველი, საკუთრივ შევარდენი, ასურეთში წინასწარმეტყველების საშუალებას წარმოადგენდა და, საერთოდ, სიკეთის ნიშნად იყო მიჩნეული. ასურელთა შეხედულებით, თუ შევარდენი მეფეს მარჯვენა მხრიდან წაადგებოდა და მისგან ხელმარცხნივ გაემართებოდა, მეფეს ომში გამარჯვება ელოდა, ხოლო შევარდნის გადაფრენა მარცხნიდან მარჯვნივ მეფის მიერ საერთოდ დასახული მიზნის შესრულებას მოასწავებდა⁶. შევარდენს მიაწოდნენ აგრეთვე სქესობრივი უძლურებისაგან განკურნების მაგიურ ძალას. ამ წარმოდგენის საფუძველზე შემუშავებული იყო „რეცეპტი“: შევარდნის სისხლში ჩანაყული შევარდნისავე ფრთები, შეკაზმული სხვადასხვა მცენარეულის თესლითა და მარილით⁷, ან წყალში არეული შევარდნის სისხლი.⁸

გარდა ამისა, შევარდენს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ავი სულების წინააღმდეგ შელოცვის დროსაც. ძაგალითად, ციების დემონისაგან ადამიანის განთავისუფლების მიზნით ასურეთში სრულდებოდა რიტუალი, რომლის დროს ქურუმს ერთს ხელში ყვავი ეჭირა, ხოლო მეორე ხელში — შევარდენი⁹. ესა და სხვა მრავალი ამგვარი შელოცვა სტერიოტიპული წინადადებით მთავრდებოდა: „დიდმა ბატონმა ეამ გამომავზავმა მე... დიდი ღმერთების მოდარაჯე ფრინველი, ყვავი მიჭირავს მე მარჯვენა ხელში; მალლა მადრენალი ფრინველი, შევარდენი, მყავს მე მარცხენა ხელზე მჯდომარე შენი ბოროტი სახის წინაშე¹⁰. ამ რიგის შელოცვები, ბ. მაისნერის სიტყვით, უძველესი წარმოშობისაა და თავდაპირველად შუმერულ ენაზეა შედგენილი¹¹.

¹ Страбон, География, М. 1877, XVII, 1, § 47, § 49.

² Геродот, История, М. 1888, II, § 65.

³ В. Струве, История Древнего Востока, Л. 1941, гл. 133.

⁴ Fr. Hommel, Ethnologie und Geographie des alten Orients, München, 1926, гл. 867.

⁵ M. Besson, De Totémisme, Paris, 1929, таб. LVIII, სურ. 1, 2; ავტორის ინტერპრეტაცია, იქვე, გვ. 80.

⁶ В. Meissner, Babilonien u. Assyrien, II, Heidelberg, 1920, гл. 260.

⁷ იქვე, გვ. 316.

⁸ იქვე, გვ. 317.

⁹ იქვე, გვ. 240—241.

¹⁰ იქვე, გვ. 219.

¹¹ იქვე, გვ. 215.

ადრინდელი უეჭვო და პირდაპირი ცნობა ქორ-შევარდნით ნადირობის შესახებ ძველს აღმოსავლეთში ასურეთს შეეხება. ბ. მაისნერის სიტყვით, ძველი წელთაღრიცხვით IX საუკუნისათვის ნადირობა გამართული ქორ-შევარდნით უკვე კარგად ცნობილი იყო¹. ლემან-ჰაუპტის თქმითაც, ასურეთში ქორ-შევარდნით ნადირობა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა².



სურ. 3.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი ძველი ზენჯირლიდან (ძვ. წ. XIII ს.), რომელზედაც მონადირე-დემონია გამოსახულია (სურ. № 3)-მას ხელზე ფრინველი უზის, რომელიც ა. გიოტცეს ვარაუდით, მონადირე ფრინველს უნდა წარმოადგენდეს³. საკიე-გიუზში, ზენჯირლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ერთი დღის სავალზე, ნაპოვნია მეორე გამოსახულება ადამიანისა, რომელსაც აგრეთვე შემომჯდარი ჰყავს ხელზე შევარდნი⁴. ეს ძველი დათარიღებულია ძვ. წ. IX—VII ს. (სურ. № 4).

¹ B. Meissner, *Babylonien u. Assyrien*, I, Heidelberg, 1920, გვ. 74.

² Lehmann-Haupt, *Armenen einst und jetzt*, Berlin und Leipzig, 1910, გვ. 211.

³ A. Götz, *Hethiter, Churriter u. Assyrer*, Oslo, 1936, სურ. 48, ტექსტი, გვ. 90.

⁴ E. Pottier, *L'art Hitite*, I, Paris, 1926, სურ. 116, ტექსტი გვ. 95.

შეიძლებოდა უფრო შორს წასვლაც. ერთ-ერთ შუმერულ ძეგლში ბატონისა და მონის დიალოგია დაცული, რომელშიაც ბატონი უბრძანებს მონას მოემზადოს სანადიროდ და მზად იყოლიოს შევარდენი¹. მაგრამ ამ ძეგლის გამომკვეთელი სანადირო ფრინველის აღმნიშვნელ სიტყვას ყველგან კითხვის ნიშნის ქვეშ სტოვებს, ჩანს, წაკითხვაშია დაეჭვებული და ეს დოკუმენტი უცილობელ დამაჯერებლობას მოკლებულია. მაშასადამე, საუბარს ქორ-შევარდენით ნადირობის შესახებ ძვ. წ. IX ს. ადრე ჯერ-ჯერობით მხოლოდ სავარაუდო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.



სურ. 4.

ამრიგად: საერთოდ ფრინველისა და საკუთრივ მტაცებელი ფრინველის მძლავრად განვითარებული კულტი ძველ შუამდინარეთში და ქორ-შევარდენით ნადირობის შესახებ უტყუარ ცნობათა შორის ყველაზე აღრინდელთა კავშირი ამავე კულტურულ სამყაროსთან თვალნათლივ გვიჩვენებს იმ მიმართულებას, რომლითაც უნდა წარიმართოს ნადირობის ამ ფორმის პირველსამშობლოს ძიება. მარტო ზემომოყვანილი მასალის ფარგლებშიაც კი ცხადია, რომ თეორია, რომელიც ქორ-შევარდენით ნადირობის პირველსამშობლოდ საერთოდ აღმოსავლეთს მიიჩნევს², შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, ხოლო მოსაზრება მისი ინდოეთიდან მომდინარეობის შესახებ³—კრიტიკულ შეფასებას.

¹ B. Meissner, დასახ. ნაშრ. II, გვ. 433.

² Э. Тейлор, Антропология, II-тб. 1882, გვ. 207.

³ Vaz-Nama—დასახ. გამ.; ფილოტის შესავალი წერილი; В. Ген, Культурные растения и животные, Спб. 1872, გვ. 214—218; А. Брэм, Иллюстрированная жизнь животных. т. III, Спб. 1870, გვ. 428.

ЯСТРЕБИННАЯ ОХОТА В ГУРИИ

(Резюме)

Этнографический быт гурийцев содержит яркий пережиточный материал, позволяющий сравнительно точно воспроизвести все моменты перепелиной охоты, начиная с ловли ястреба и его дрессировки вплоть до использования охотничьей лобьчи. Ловля и подготовка ястреба к перепелиной охоте слагаются из следующих элементов: изготовление специальных силков с живыми кузнечиками для ловли сорокопутов и подготовка их в качестве приманки для ястребов; устройство примитивных хижин-засад для ловли ястреба; ловля ястребов особыми сетями и дрессировка их к охоте за перепелами.

Ловля и дрессировка ястреба—сложный процесс, требующий от дрессировщика не только специальных знаний, но и определенного времени. Основные условия дрессировки ястреба—усталость и голод.

Сравнение гурийской формы перепелиной охоты с аналогичным материалом из быта лазов и кахетинцев позволяет установить их типологическое единство. Некоторое расхождение дает сравнительный материал из быта имеретин и мегрелов.

В качестве сравнительного материала привлекается известный и в Гурии „татарский“ способ перепелиной охоты, представляющий собой более примитивную, в существенных своих элементах отличную от установленной в Гурии, форму перепелиной охоты. Значительно отличается от гурийской перепелиной охоты и т. н. „индо-иранский“ способ, описанный в „Баз-наме“—памятнике персидской литературы XIV века.

Наиболее ранее упоминание охоты с ловчими птицами в Грузии относится к X веку. Временами эта охота достигала расцвета, вызывавшего удивление путешественников (М. Поло, Шарден). Охота с ловчими птицами являлась великосветской охотой и, на известном протяжении своего существования, представляла собой определенный вид крестьянской повинности. Этот факт находит неоднократное подтверждение в соответствующих документах эпохи.

Принудительная организация и превращение в объект помещичьего обложения в условиях феодального строя характерны вообще для всех видов охоты; однако охота с ловчими птицами по своей природе существенным образом отличается от обычных форм охоты; отличительными признаками являются: необходимость содержания ловчих птиц в особых усло-

виях, недоступных широким массам и низкая ее добычливость. Это обстоятельство вместе с отсутствием данных об охоте с ловчими птицами на ранних ступенях человеческого развития, подкрепляет положение о наиболее позднем происхождении ее сравнительно с другими формами охоты.

Вопрос о месте и времени возникновения охоты с ловчими птицами не решен. Косвенные данные из исторической этнографии—культовое значение ловчих птиц, их магическая функция в представлениях древнейших насельников Передней Азии,—а также наиболее ранние изображения их (XIII в. до н. э., Зенджирли и IX—VII в.в. до н. э. Сакие-Гюзи и др.), вместе с указанием письменных источников IX в. до н. э. определяют те хронологические и территориальные границы, в рамках которых следует искать наиболее ранние формы охоты с ловчими птицами.